# როგორც ამჟამინდელი მდგომარეობიდან ჩანს, სააკაშვილი დამარცხებული ნაციონალების თავმჯდომარეა და არა გამარჯვებული საქართველოს პრეზიდენტი


# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


შაბათი, 13 ოქტომბერი, 2012 წელი.

№197 (7073)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.





9

## ციხიზმზე დაყენობილი უნამუსობა

## როდის ინებებთ პასუხის გაცემას, „არჩეულო“ მერო?

## თეთრ პირსახოცს ელოდებით, ქალაქის „ბოსო?“

2



## „საღი აზრი უბიძგებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სააკაშვილში საღი აზრის ნაკლებობაა“

3

## „ოცნებამ“ რესპუბლიკური საავადმყოფოს და პარლამენტის შენობის პრივატიზაცია შეაჩერა

გვიგულეთ თქვენს გვერდით

## გვჯერა, ახდება ქართველ ქორეოგრაფთა თაობების ნაოცნებარი!

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი უდიდესი კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს, რომ 2012 წლის 1 ოქტომბერი საეტაპო თარილი გახდა ქართველი ერის, საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის თანაცხოვრების ისტორიაში.

ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები, რომლის შედეგებმაც დაადასტურა, რომ ხალხი ბრძენია, ხოლო მისი ნება შეუვალი. არჩევნების შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ხელისუფლების გადაცემა მშვიდობიანი, კონსტიტუციური ფორმით ქვეყნის წარმატებული განვითარების შესაძლებლობებს ქმნის.

კავშირის ადმინისტრაცია, მისი გამგეობა, ქორეოგრაფთა დიდი ოჯახის სახელით მიესალმება კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ გამარჯვებას და იმედს გამოთქვამს, რომ წინასაარჩევნო სტრატეგიული ხაზი, რომელიც ქართული კულტურის ბედზე განუხრელ ზრუნვასაც გულისხმობს, ხელისუფლების ყოველდღიური ფიქრის საგნად და რეალურ საქმედ იქცევა.

დარწმუნებული ვართ, აღსრულდება ქართველ ქორეოგრაფთა სხვადასხვა თაობის საუკეთესო წარმომადგენელთა ნაოცნებარი – საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირს, სხვა შემოქმედებითი კავშირების მსგავსად ექნება საკუთარი ჭერი და შეიქმნება „ქართული ცეკვის სახლი“.

ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს თაობათა შორის კავშირების განმტკიცებას, ახალგაზრდობის ესთეტიკური და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას, ვეტერან ქორეოგრაფთა ორგანიზაციულ-მეთოდური პოტენციალის სრულად გაშლა-გამოყენებას.

გვიგულეთ თქვენს გვერდით!

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობა

# დაღვინებამდე დაძმარებულ ნაციონალებს ისევ ძველი ანტიხალხური ძალაუფლება ეოცნებებათ

◎ მგლობამოუშლელი მგლები

## ცინიზმზე დამყნობილი უნამუსობა

### სისინებენ მორიელთან „შეჯვარებული" გველები

**ერთი ნაცნობი მყავდა, რომელსაც, სიავკაცისა და მრავალი სხვა უკეთურობის გამო, თანამშრომლებმა მორიელზე დამყნობილი გველი შეარქვეს — თუმცა, ცალ-ცალკე მათგან ორივე მომაკვდინებლად სახიფათოა, მაინც ვერ დაიტევენო**



**ამ „თიკუნის" ადრესატის შინაგან ასპიტობას. ამიტომაც „შეაჯვარეს".**

ცინიზმიც დიდად მიუღებელი უკეთურობაა ნორმალური საზოგადოებრივი ურთიერთობისთვის.

**ზნეობისა და წესიერების ნორმათა აბუჩად ამგდები** — ასეა ეს სიტყვა ახსნილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

უნამუსობაც რაც არის, კარგად მოეხსენებათ ჩვენს მკითხველებს.

მაგრამ, ზემოაღნიშნულისა არ იყოს, თუმცა, ცივილიზებული საზოგადოებისთვის ისინი ცალ-ცალკეც ყოვლად მიუღებელია, **მაინც ვერ „დაიტევენ" სრულად იმ ყოვლად წარმოუდგენელ უტიფრობა- უსირცხვილობას, ნაციონალური მოძრაობის ბობოლებისთვის რომ არის დამახასიათებელი.**

ამიტომაც „შევაჯვარე".

თუმცა, ვიდრე ამის დამადასტურებელ ერთ კონკრეტულ მაგალითს მოგახსენებდეთ, რამაც ამაღებინა კიდეც კალამი, ხაშურულ არჩევნებთან დაკავშირებულ ამბებზე მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა.

იმდენად აშკარა და წყალგაუვალი ფაქტებით განმტკიცებული იყო არჩევნებისას ხაშურში მომხდარი ტოტალური გაყალბებისა თუ ამომრჩევლებზე აშკარა ძალადობის ფაქტები, რომ **თვით ცესკომ, რომელსაც ამჟამად კვადრატში კი არა, კუბში აყვანილი ჭიაბერაშვილ-პაპუაშვილ-თარხნიშვილის ტოლფარდი ზურაბ ხარატიშვილი თავკაცობს, დიდი მონდომებისა და ნაცთა უთუო ზეწოლის მიუხედავადაც, ვერ დახუჭა თვალები და გააუქმა სადავო საარჩევნო უბნების შედეგები...**

ჰოდა, გუშინ „გამობრძანდა" ნაცმოძრაობის პარტიული სიის პირველი ნომერი, **უწერტილმძიმოდ მოლაქლაქე პირგამეხებული დავით ბაქრაძე და დაიქოქა ადრინდულად: ვერ დავუშვებთო ხაშურში არჩევნების გაყალბებას, ამომრჩევლებზე ზეწოლას, დემოკრატიული ნორმების ხელყოფას!..**

**ამათს ცინიზმიან უნამუსობას მართლაც არა აქვს საზღვარი!**

ნება მიბოძეთ, გკითხოთ, ხალხის გადაწყვეტილებით სამართლიანად ჩამოლაზორანტებულო, მაგრამ რევანშსაზოტაჟისთვის მზადმყოფ-შემართულო ექსსპიკერო: **უშუალოდ არჩევნების დღეს — პირველ ოქტომბერს თუ არა, მეორე დღეს მაინც, როდესაც მთელმა დუნიამ იცოდა, როგორ ცდილობდნენ და ახერხებდნენ კიდეც ხაშურის რამდენიმე საარჩევნო უბანში არჩევნების გაყალბებას, ამომრჩევლებზე ზეწოლასა და დემოკრატიული ნორმების ხელყოფას ნაცმოელთა მიერ გამოგზავნილი სპეცდანიშნულების რაზმის შეიარაღებული წევრები, რატომ არ გამოთქვით პროტესტი, რისი გაკეთებაც, დიახაც რომ, გევალებოდათ?**

რაო, თქვენივე შინაგან საქმეთა სამინისტროს მსგავსად თქვენც დაიწყებთ იმის მტკიცებას, არანაირი სპეცდანიშნულების რაზმები ხაშურში არ ყოფილაო?

**იმ კადრებს რას უზამთ, რომლებიც „მაესტროსა" და „მეცხრე არხის" პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა და რომლებმაც შემზარავად იმოქმედეს მაყურებლებზე?**

მაშინ რად არ ამოიღეთ ხმა?

თუმცა, როგორღა ამოიღებდით, როცა სწორედ ამგვარი გაყალბებებით გსურდათ და ნაწილობრივ შეძელით კიდეც არჩევნებზე ერთგვარი წარმატების მოპოვება?

**სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას ის დაუჯერებელი ფაქტი, რომ, თურმე, ყოველი ათი ამომრჩევლიდან ოთხმა თქვენ მოგცათ ხმა?**

ისემც რა გითხარით!

**ერთსღა გეტყვით: ნუ ეცდებით ხალხის მოთმინების გამოცდას და, მით უფრო, მისი ნება-პოზიციის ადრინდულად აბუჩად აგდებას, თორემ...**

**მე გამიფრთხილებიხართ და...**

## როდის ინებებთ პასუხის გაცემას, „არჩეულო" მერო?

### ვგონებ, სტრიპტიზბარებისთვის მოაკლდათ ფული ბიჭებს!



**უკვე ვწერდით ე. წ. უსაფრთხოების სამსახურის შექმნაზე, რომლის დებულებასაც თბილისის მერმა გიგი უგულავამ მოაწერა ხელი. ეგრეთ წოდებული-მეთქი იმად ვამბობ, რომ ბაღებსა თუ სკვერებს, ან მერიისა თუ საკრებულოს შენობებს ისედაც იცავდნენ დაცვის პოლიციის თანამშრომლები.**

**მაშ, რა საჭირო იყო მისი იდენტური სამსახურის შექმნა?**

თუ მერიელებს ვერწმუნებით, ეს, თურმე, ფულის დაზოგვის მიზნით გაკეთებულა (თუმცა, უფრო სარწმუნო ის ვარაუდია, რომ ამ სამსახურში მერი იმ ზონდერბრიგადების წევრთა დასაქმებას აპირებს, რომელთაც ნაცმოძრაობის ბობოლების ბრძანებით ბევრჯერ დაურბევიათ აქცია-მიტინგები და ხშირად სასიკვდილოდაც უცემიათ მათი მონაწილენი!ძ.

დავუშვათ, მართლაც ასეა.

**მაშინ, თქვენი აზრით, მკითხველო, სად წაიღებს მერია ამ „დაზოგილ" თანხებს? რაო, ძველი თბილისის აღდგენის ფონდის შესავსებად გამოიყენებსო?**

ისემც რა ვუთხარი მაგათ!

**უფრო სავარაუდოა, რომ მერიელ ბიჭებს სტრიპტიზბარებში საგრიალო, იქაური მოცეკვავე გოგონების ბიკინებში ჩასატენი თუ სამასლარიანი სიგარების საყიდელი ფული შემოაკლდათ!**



თუმცა, ახლა მთავარი კითხვა, რამაც ეს რეპლიკისმაგვარი რამ დამაწერინა:

**უფალო „არჩეულო" მერო, როდის ინებებთ პასუხის გაცემას ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნებულ დოკუმენტურ მასალებზე, რომლებშიც მხილებული არიან უშუალოდ მერიის ცალკეული მუშაკები თუ მათ მიერ „დაპაიჟებული" „საპატიო" სტუმრები, რომლებმაც სტრიპტიზბარში გრიალის საფასური — რამდენიმე ათასი ლარი — ძველი თბილისის განვითარების ფონდს გადაახდევინეს?**

ვალდებული ხართ, ეს გააკეთოთ და კონკრეტულად დაასახელოთ ის მერიელები თუ მერიის „სტუმრები", ვის გრიალსაც ბიუჯეტის თანხები ეწირებოდა.

გაყუჩების უფლება არა გაქვთ, მერო!

## თეთრ პირსახოცს ელოდებით, ქალაქის „ბოსო?"

### არჩევნები კრივი კი არ არის, რომ ნოკაუტამდე არ აღიაროთ დამარცხება

**ერთი ჩემი ნაცნობი, რომელიც თავის რიგს ელოდება და ხედავს, რომ უიმედო პოზიციაში ჩავარდნილი მონარდე მაინც ცდილობს კამათლის გაგორებას, შეუძახებს ხოლმე მას — ბიჭო, ადექი, ნარდი კრივი კი არ არის, ნოკაუტში ჩაგდებამდე რომ არ თმობ კამათელსო.**

არც არჩევნებია კრივი, თბილისის „არჩეულო" მერო, მაგ ფუმფულა სავარძლის სხვისთვის დათმობას რომ არ ჩქარობთ.

**რაო, მართლაც არჩეული ვარ (ისემც რა გითხარით სამართლიანი არჩევნებით იყოთ არჩეული) და კიდევ რამდენიმე წელი მაქვს ვადაო?!**

**ღირსება? იგი არაფერ შუაშია?**

რა ღირსებაზე მელაპარაკებითო?

რომელ ღირსებაზე და...

თუმცა, ჯობს პირდაპირ სათქმელზე გადავიდე.

**თქვენ, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მერის სავარძელთან ერთად, ნაცმოძრაობის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის „სკამიც" ხომ გაქვთ?**

**ხომ გამანადგურებელი ანგარიშით, პირწმინდად წააგო ამ ორგანიზაციამ პირველ ოქტომბერს არჩევნები თბილისში?**

**მეტი რა არის საჭირო გადადგომისთვის?**

მაინცდამაინც „ტრენერმა" უნდა გადაგაგდოს „რინგზე" თეთრი პირსახოცი, რომ ფაფხური შეწყვიტოთ (ფაფხურს გარდა ვერაფერს დაარქმევ კაცი იმას, რასაც ახლა შვრებით)?



**ოო, რა მკაცრი „ტრენერია", რომ იცოდეთ, ხალხი!**

**ამიტომაც უფრთხილდით მას და ოდნავ მაინც ღირსებაშენარჩუნებულმა დატოვეთ დროზე „რინგი"**

რუსლან რუსია

**P. S. და მთავარი: არ გაგიკვირდეთ და, ამ მასალის რუბრიკის გამო ბოდიში უნდა მოვუხადო... მგლებს — ისინი ხომ მხეცებს შორის ყველაზე დიდი შინაგანი ღირსების მქონენი არიან!**

**ამიტომ არის, რომ მათი მოშინაურება და საკუთარ ნებაზე ტარება ვერავინ ვერ შეძლო, თვით ნადირთა მეფის — ლომის მომთვინიერებელმა და ლამის ფინიად გადამქცევმა ადამიანმაც კი.**

**ბოდიში კი მათ უღირსებო ადამიანებთან შედარების გამო უნდა მოვუხადო. ეს ჩემდაუნებურად მომივიდა: მექანიკურად გამოვიყენე ანდაზა — მგელი არ იშლის მგლობასო, თორემ სად მგლების უზომო შინაგანი ღირსება და სად...**

** რ. რ.**

◎ ფერისცვალება

### „ნაცმოძრაობის" ყოფილმა წევრებმა ოპოზიციური ფრაქცია შექმნეს

**„ნაციონალური მოძრაობიდან" წამოსულმა პირებმა თბილისის საკრებულოში ახალი ფრაქცია შექმნეს. ფრაქცია „თავისუფლება" 5 წევრით არის წარმოდგენილი. მის შემადგენლობაში შედიან: ირაკლი შიხიაშვილი, მერაბ რაფავა, გიორგი ნემსაძე, მიხეილ ქავთარაძე და ზაზა დოლიძე, რომელმაც „ნაციონალური მოძრაობიდან" წამოსვლისა და ახალ ფრაქციაში გაწევრიანების გადაწყვეტილება დანარჩენი 4 წევრის მიერ საკრებულოში გამართული პრესკონფერენციის დროს მიიღო.**

**როგორც პრესკონფერენციაზე ირაკლი შიხიაშვილმა განაცხადა, მათი გადაწყვეტილება იმითაა განპირობებული, რომ „ნაციონალური მოძრაობა" მისმა ლიდერებმა ამორალურ და დისკრედიტებულ ორგანიზაციად აქციეს.**

**— ვემიჯნებით „ნაციონალურ მოძრაობას", რომელიც მისმა მმართველებმა დისკრედიტებულ და ამორალურ ორგანიზაციად გადააქციეს. თბილისის მერი გიგი უგულავა ჩვენ მოღალატეებს გვიწოდებს, მაგრამ გვინდა მას ვუთხრათ — როცა პოლიტიკური ორგანიზაცია უპირისპირდება საკუთარ მოსახლეობას და ცდილობს, ჩაახშოს თავისუფალი ნება, როცა არჩევანს აყენებს საკუთარ პარტიასა და ქართველ ხალხს შორის, რა თქმა უნდა, ჩვენი არჩევანი ყოველთვის ქართველი ხალხის მხარეს იქნება, — განაცხადა შიხიაშვილმა.**

**მისივე განმარტებით, თბილისის საკრებულოში „ნაცმოძრაობის" შეუქცევადი რღვევის პროცესია დაწყებული.**

SIC!

# ქვეყნის უდიდესი საავადმყოფო ხალხს დარჩა!

## „ოცნებამ“ რესპუბლიკური საავადმყოფოს და პარლამენტის შენობის პრივატიზაცია შეაჩერა

**„ქართულმა ოცნებამ“ პრინციპით — „რაც ამათ გადაურჩათ, შევინარჩუნოთ“ — კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. პირველ რიგში, საქმე ეხება რესპუბლიკურ საავადმყოფოს და საქართველოს პარლამენტის შენობას.**

ჯანდაცვის მინისტრობის კანდიდატი ამირან გამყრელიძე რესპუბლიკური საავადმყოფოს პრივატიზების შეჩერებას ითხოვს. მისი ინფორმაციით, რესპუბლიკურის პრივატიზება დაჩქარებული ფორმით მიმდინარეობს და შესაბამისი კონტრაქტიც ერთ-ერთ უცხოურ ფირმასთან უკვე ხელმოწერილია.

**„ვინ აპირებს საავადმყოფოს პრივატიზებას და რა ფორმით, ამ თემაზე არაერთი მცდელობის მიუხედავად, ინფორმაციის მოპოვება ვერ შევძელით. ასევე, მაქვს ინფორმაცია, რომ გაფორმებულია კონტრაქტი, თუმცა, თანხა გადარიცხული არ არის. შესაბამისად, მივმართავ ეკონომიკის სამინისტროს, რესპუბლიკური საავადმყოფოს ხელმძღვანელობას და პრივატიზების მსურველს, შეაჩერონ ეს პროცესი, რადგან საქმე ეხება დიდ სტრატეგიულ ობიექტს.**

**რესპუბლიკური საავადმყოფოს პრივატიზება დაუშვებელია და ის სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დაბრუნდეს, რადგან იგი არის ერთადერთი საუნივერსიტეტო ჰოსპიტალთან მიახლოებული კლინიკა, სადაც პროფესიონალი კადრების გაზრდაა შესაძლებელი“,** — აღნიშნა ამირან გამყრელიძემ.

მისივე განმარტებით, ამ თემაზე ჯანდაცვის უკვე გაგუბერნატორებულ „მინისტრს“ ზურაბ ჭიაბერაშვილსაც ესაუბრა, რომელსაც ამ თემაზე დაწვრილებითი ინფორმაცია არ აქვს.

როგორც ჩანს, ხელისუფლება ძალიან დამფრთხალია, რადგან საკმარისია „ქართული ოცნების“ რომელიმე წარმომადგენელმა რაიმე მოთხოვნის ტიპის განცხადება გააკეთოს, რომ მომენტალურად იწყება მისი აღსრულება. ამჯერადაც, ქობალიას უწყება მყისიერად გამოეხმაურა გამყრელიძის მოთხოვნას და ეკონომიკის სამინისტრომ რესპუბლიკური საავადმყოფოს პრივატიზების ხელშეკრულების ძალაში სრულად შესვლისთვის აუცილებელი მოქმედებები შეაჩერა.



**„საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე და საქართველოს მთავრობის მიერ 2011 წლის 20 ივლისს მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და „ინტერჰელს კანადა ლიმიტედს“ შორის ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის ქონების პრივატიზების ხელშეკრულება გასულ წელსვე გაფორმდა. ხელშეკრულების პირობა კლინიკის სამედიცინო პროფილის შენარჩუნება და მის ბაზაზე თანამედროვე საავადმყოფოს შექმნაა. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ტექნიკური წინაპირობები, რომელთა შესრულების შემდეგ ხელშეკრულება სრულად შევა ძალაში. ამ ეტაპისთვის ტექნიკური წინაპირობების შესრულების პროცესი არ დასრულებულა და, შესაბამისად, საჯარო რეესტრში ინვესტორის საკუთრების უფლების რეგისტრაცია არ მომხდარა. ამავე მიზეზით მყიდველს არ გადაუხდია საპრივატიზებო საფასური. საქართველოს მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირებასთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეაჩერა ხელშეკრულების ძალაში სრულად შესვლისათვის აუცილებელი მოქმედებების განხორციელება“,** — ნათქვამია ეკონომიკის სამინისტროს განცხადებაში.

**ამავე დროს ქობალიას სამინისტრომ სხვა არანაკლებ საშური ინფორმაციაც გაანდო საზოგადოებას. საქმე ეხება საქართველოს პარლამენტის შენობას, რომლის გაყიდვა-გაუყიდაობის შესახებ ინფორმაცია აგერ უკვე 3 თვეა ვერა და ვერ დაზუსტდა. არადა, „ქართული ოცნება“ საკმაოდ მალე საკანონმდებლო ორგანოს ისევ დედაქალაქში, ძველ შენობაში გადმოტანას აპირებს.**

3-თვიანი ინფორმაციული ვაკუუმის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ეკონომიკის სამინისტროს პრესსპიკერი პრივატიზების საკითხებში გიორგი კალანდაძე აცხადებს, რომ საქართველოს პარლამენტის შენობა გაყიდული არ არის. როგორც მან დაადასტურა, შენობა არც გაყიდულია და არც საპრივატიზაციოდ არის გატანილი.

**გიორგი ბექაური**

შეუქცევადი პროცესი

**არჩევნებში დამარცხებული მმართველი პარტია, რომელმაც ოპოზიციაში გადასვლის შესახებ განცხადება გააკეთა, პოზიციების გამყარებას ცდილობს. ეს კაგად ჩანს მის მიერ ბოლო დროს გადადგმული თითოეული ნაბიჯიდან, თუმცა პოლიტიკურ კულუარებში უკვე ლაპარაკობენ, რომ ოპოზიციაში გადასული პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მიმდინარე წლის ბოლომდე გადადგება. ამ ვერსიით, სააკაშვილს „ქართული ოცნების“ უმრავლესობაში ყოფნის პირობებში პრეზიდენტობის სურვილი არ აქვს და ამის შესახებ მისი გუნდი უკვე ინფორმირებულია. ამ ინფორმაციას, რასაკვირველია,**



**მისი თანაგუნდელები არ ადასტურებენ და აცხადებენ, რომ სააკაშვილი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე, ანუ 2013 წლის ოქტომბრამდე იქნება ქვეყნის პრეზიდენტი.**

**მეორე მხრივ, ყოფილი უმრავლესობის წევრები, განსაკუთრებით აღმასრულებელ ხელისუფლებაში წარმოდგენილი ჩინოვნიკები, სათითაოდ იპარებიან ქვეყნიდან. ასე რომ, თუ „ნაცმოძრაობის“ ერთი ნაწილი, როგორც თვითონვე გამოუცხადეს თავისივე წევრებს, ხელისუფლებაში დაბრუნებას გეგმავს, საინტერესოა, სად უჩინარდებიან ერთმანეთის მიყოლებით?**

**იქამდე, ვიდრე გამარჯვებული კოალიცია სხვადასხვა სტრუქტურების კონტროლის უფლებას მოიპოვებს, დაახლოებით ერთი თვეა დარჩენილი, ამ ერთ თვეში კი ბევრ „ნაციონალს“ შეუძლია იუსტიციის მინისტრივით „შვებულებაში“ გასვლა. ასეთ შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილის გადადგომაც ლოგიკურია, თუმცა, გაუგებარია ადგილობრივი თვითმმართველობების თავდაცვით რეჟიმზე გადაწყობა.**

**როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები უახლოეს პერიოდში, პროგნოზირება „სახალხო კრების“ წევრს ირაკლი ბათიაშვილს ვთხოვეთ.**

# „საღი აზრი უბიძგებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სააკაშვილში საღი აზრის ნაკლებობაა“

**— ბატონო ირაკლი, კულუარებში უკვე ლაპარაკობენ იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილს პრეზიდენტობა აღარ სურს, თქვენი შეფასებით დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, რამ შეიძლება აიძულოს სააკაშვილი, რომ ასეთი ნაბიჯი გადადგას?**

— ამ ნაბიჯისკენ მიხეილ სააკაშვილს უნდა უბიძგოს ელემენტარულმა საღმა აზრმა, მაგრამ, სამწუხაროდ, მასში საღი აზრის ძალზე დიდი დეფიციტია, თორემ უკვე არჩევნების შემდეგ ან მანამდეც უნდა მიეღო ეს გადაწყვეტილება — ციხის კადრები რომ გამოქვეყნდა, მაშინვე უნდა გადამდგარიყო.

ახლა ყველა ლოგიკით, ამ პოლიტიკურ სიტუაციაში მისი პრეზიდენტად ყოფნა სრული ანომალიაა. წესით, უნდა მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება. არ გამოვრიცხავ, ის ძალიან მალე იძულებული გახდეს, გააკეთოს განცხადება და წავიდეს თანამდებობიდან. შესაძლოა, ახლა „ნაციონალებს“ უბრალოდ, დროის გაწელვა სჭირდებათ, თავიანთი ბიზნესების საკითხებისა და პირადი უსაფრთხოების მოსაგვარებლად — ამ ყველაფერს ხომ დრო სჭირდება.

თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ სრულიად სხვაგვარი გეგმა ჰქონდეთ და სააკაშვილმა ორხელისუფლებიანობაში ყოფნა მაქსიმალურად გაწელოს.

**— სხვა გეგმაში რას გულისხმობთ, მეორედ, უფრო სწორად მესამედ მოსვლას?**

— ჩვენ ვხედავთ, რომ სერიოზულ პრეტენზიას აცხადებენ გარკვეული ბერკეტების შენარჩუნებაზე, ეს იქნება გენერალურ შტაბზე (გენშტაბის უფროსად გიგი კალანდაძის დანიშვნა ამის მაუწყებელია), ეროვნულ ბანკზე და კონტროლის პალატაზე თავიანთი კონტროლის შენარჩუნების სურვილი თუ სხვა.

ახლა ხომ ხედავთ, მერიასა და თვითმმართველობებზე უნდათ კონტროლი და მერიაში, ასე ვთქვათ, მთელი თავიანთი ზონდერ-ბრიგადებისთვის შექმნეს სპეციალური სამსახური და მერიის უსაფრთხოების სამსახური დაარქვეს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, საკმაოდ რთულია რაიმე ერთმნიშვნელოვანი პროგნოზის გაკეთება.

**— საკუთარ მომხრეებს მართლაც არწმუნებენ, ვგულისხმობ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და მუნიციპალიტეტებს, რომ რამდენიმე თვეში ხელისუფლებაში ბრუნდებიან. შესაძლოა, ასეთი სურვილი ჰქონდეს კიდეც „ნაცმოძრაობას“, მაგრამ რამდენად რეალურად გეჩვენებათ მისი განხორციელება?**

— მათ ტვინში აქვთ ასეთი რაღაც, მაგრამ დარწმუნებული ვარ, „ნაცმოძრაობის“ ჩამოშლა უკვე შეუქცევადი პროცესია. თუმცა, ეს იმდენად ჭუჭყიანი ძალაა, რომ მისგან ყველანაირ ექსცესებს უნდა ველოდეთ. არ არის გამორიცხული, მათ მოინდომონ, რაღაც-რაღაც ცუდი ამბები დაატრიალონ. ამიტომ სიფხიზლეა საჭირო. მათ არ უნდა იგრძნონ თავი კომფორტულად. აი ჯერჯერობით კი კომფორტულად გრძნობენ თავს.

**— რას გულისხმობთ?**

— მათი პასუხისმგებლობის საკითხი თანამიმდევრულად უნდა დადგეს, ეს ნომერ პირველი ამოცანაა. საზოგადოება ითხოვს დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემას. იგულისხმება სწორედ სააკაშვილის ხელისუფლება, რომელსაც უამრავი დანაშაული და ბოროტმოქმედება აწევს. ესენი არიან მაღალი და უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირები, რომლებსაც ახლა ჰგონიათ, რომ ყველაფერი შერჩებათ.

სწორია საზოგადოება, როდესაც უპირველეს ყოვლისა, სამართლიანობის აღდგენას ითხოვს, თანაც, ამათ თუ იგრძნეს, რომ მათი მომკითხავი არავინ არ არის, თავისთავად ცხადია, კიდევ უფრო „გაჯეჯილდებიან“ და მერე უკვე ყველაფერი მოსალოდნელი იქნება მათი მხრიდან.

**— ძალიან საინტერესოა, რომ „ნაციონალების“ ერთი ნაწილი ხელისუფლებაში დაბრუნებას გეგმავს, ხოლო მეორე ნაწილი ქვეყნიდან გარბის, ეს არაფერზე არ მეტყველებს?**

მართალია, ადეიშვილი გასულია, ახალაიებიც, შუა რგოლებიდან „მასტერები“ და ვილაცები. ესეც ბოლომდე არ ვიცით — მიდიან იმისათვის, რომ რაღაც ხელსაყრელი მომენტისთვის მოემზადონ თუ საბოლოოდ ხვდებიან, რომ ყველაფერი დაკარგეს.

**— ცხადია, რომ საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია სახარბიელო ნამდვილად არ არის და საკმაოდ რთული პერიოდია. ასეთ შემთხვევაში როგორ ხედავთ დასავლეთის როლს - მათ იხილეს ყველაფერი, რაც სურდათ, ენახათ საქართველოში, ბიძინა ივანიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის ხელის ჩამორთმევის ჩათვლით. როგორ ფიქრობთ, ისინი კვლავაც შეეცდებიან რაიმე გავლენის მოხდენას იმისათვის, რომ ქვეყანაში სიტუაცია დალაგდეს?**

— მარტო დასავლეთი კი არა, ყველა კმაყოფილია, რომ ხელისუფლების გადაცემა უსისხლოდ და მშვიდობიანად მოხდა — ეს ყველას გვიხარია. რაც შეეხება დასავლეთს, წესით, დაინტერესებული უნდა იყოს, ეს ყველაფერი როგორ განვითარდება, თუმცა, ეს უფრო ჩვენზე, ქართველ ხალხსა და „ქართულ ოცნებაზეა“ დამოკიდებული.

თქვენ აღნიშნეთ, რომ ხალხი მოუთმენლად ელის სამართლიანობის აღდგენას, რომელიც, ალბათ, თავისთავად დააჩქარებს „ნაციონალური“ მოძრაობის რღვევის პროცესს. თუმცა, გამოძიების დაწყება, საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება დროს მოითხოვს...

**— იმდენი სარჩელები წამოვა, ჯერ მარტო სულხან მოლაშვილმა იმდენი რამ თქვა ტელევიზიით... რომ ჩამოვა, ჩვენებას ხომ მისცემს?! ის პირები, ვისზეც ილაპარაკა, უკვე ხომ უნდა დაკითხონ... აქ ლაპარაკია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, საქმეების აღძვრაზე. მერე სასამართლო რა განაჩენს გამოიტანს, მართლა დამოუკიდებელი სასამართლო, ეს უკვე მისი საქმეა.**

ზოგს ქონება წაართვეს, ზოგი აწამეს, როგორც აწამეს სულხან მოლაშვილი გიგა ბოკერიას და ზურაბ ადეიშვილის მითითებით. ზოგს ეს აქვს დაშავებული, ზოგს — ის. ასე რომ, ამ ყველაფერზე რეაგირება აუცილებელია და არ მესმის, ეს პროცესი როგორ უნდა გაიწელოს.

**— ანუ, შესაძლოა, ამ პროცესის დაწყება იყოს კიდევ ერთი გარდამტეხი მომენტი? რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ როგორც თვითონვე ამბობენ, 6 თვეში პარლამენტის დათხოვას გეგმავს და ასეც რომ იყოს, თუ მათი ლიდერების მიმართ გამოძიება დაიწყება, ეს თავისთავად ცვლის ამ გეგმას...**

— შეიძლება სულაც გასამხნევებლად ეუბნებიან ამას თავიანთ ხალხს, რომ ახლა ისინი არ აუჯანყდნენ, ან შეიძლება, სულაც რაღაც ხელსაყრელ მომენტს ელოდებიან. ვგულისხმობ საერთაშორისო გეოპოლიტიკურ სიტუაციას. მოგეხსენებათ, ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე, საკმაოდ დეტალურად ვადევნებ თვალს გეოპოლიტიკურ სიტუაციას და საკმაოდ ღრმად ვაანალიზებ. ასე რომ, შეიძლება, რაღაცას ელოდებონენ ან იდეა ჰქონდეთ ასეთი. საკმაოდ დინამიურად ვითარდება მოვლენები.

**— ამაში რას გულისხმობთ, შეიძლება რუსეთთან დაიძაბოს სიტუაცია?**

— ამაზე ნაადრევია ლაპარაკი, არ გამოვრიცხავ, რომ მათ ყალბი მოლოდინები ჰქონდეთ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, არ მგონია ისინი რამემ გადაარჩინოს, „ნაცმოძრაობის“ დაშლა როგორც ვთქვი, შეუქცევადი პროცესია. უბრალოდ, იმას არ გამოვრიცხავ, რომ წასვლის წინ რაღაც სერიოზული მავნებლობები ჩაიდინონ. ვნახოთ, რა იქნება, ჯერჯერობით ბიძინა ივანიშვილმა მოახერხა და ყველაფერი მშვიდობიანად და კარგად მოხდა.

**— სხვათა შორის, წინასაარჩევნო პერიოდში ხშირად ისმოდა მისი პოლიტიკის კრიტიკა და არსებობდა პროგნოზები, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ მშვიდობიანად ვერავინ ვერ გაისტუმრებდა. შედეგიდან გამომდინარე, როგორც ჩანს ივანიშვილის ტაქტიკაცა და სტრატეგიაც სწორი ყოფილა, ფიქრობთ, რომ ახლაც სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებს?**

— საკმაოდ მაღალ დონეზე განახორციელა ის ყველაფერი, რაზეც ლაპარაკობდა, ასე რომ, უნდა დაველოდოთ, აქამდე წარმატებით მიიყვანა საქმე და ვენდოთ მის ალღოს.

**მარიამ თოდაძე**

ესეც შენი სინამდვილე!

# დივერსიული დარტყმები, რომლებმაც ქვეყანა უფსკრულთან მიიყვანა

*მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია*

*შოთა რუსთაველი*

დღეს, როდესაც ღვთის წყალობით, ბატონ ბიძინა ივანიშვილის წინამძღოლობით, ქართველი ხალხის ერთობით ანტიეროვნული რეჟიმი დამარცხებულია, ასეთ დროს განსაკუთრებული ყურადღება გვმართებს განვლილის სწორად შესაფასებლად, კერძოდ თუ რა იყო საფუძველი და მიზეზი პრეზიდენტისა და მისი გუნდის მიერ საკუთარი მოსახლეობის ასეთი სიძულვილისა, რამაც ქართველი ერი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მიიყვანა.

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა მედია ჯგუფ „ობიექტივის" ხელმძღვანელთან ქალბატონ ირმა ინაშვილთან ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ ჭორია, თითქოსდა სააკაშვილს საქართველოს გადაგვარება სურდეს. ვფიქრობ აქ ბატონი ბიძინა უბრალოდ არ ამძაფრებდა მდგომარეობას და საპირისპიროს ფიქრობდა, რომ ეს ჭორი არ არის. სწორედ ამიტომ იყო, რომ ყველაფერი გააკეთა სააკაშვილის რეჟიმის დასამარცხებლად და ამით იხსნა საქართველო მოსალოდნელი ურთიერთდაპირისპირებისა და სისხლის ღვრისაგან, რომლის წინაშეც ვიდექით.

მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი მოსახლეობის დაშინების მიზნით სხვადასხვა ძალადობრივ მეთოდებთან ერთად იყენებდა ერთ-ერთ ყველა დროისათვის საშინელ იარაღს, როგორიცაა ცილისწამება, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს დასწამოს ცილი, რადგანაც „ნაკბენისაგან ნაიარევი მაინც დარჩება „ნათქვამია უძველესი დროიდან...ასეთი უღირსი მეთოდით ხელისუფლებამ დანერგა შიშის ისეთი სინდრომი, რომ მეზობელ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენის სურვილიც კი ღალატად ითვლება, რაც მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკას. ამ დროს თავად პრეზიდენტი ბრწყინვალედ ასრულებდა თავის ჯაშუშურ მისიას.

ამ წერილში ლოგიკური მსჯელობებითა და საფუძვლიანი დასკვნებით შევეცდები, წარმოვაჩინო ის აზრი, რომ მიხეილ სააკაშვილი უცხო ქვეყნების რეაქციული ძალების მიერ საქართველოში იყო მოვლენილი, ერთი მთავარი მიზნით:

კავკასიაში, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, არ უნდა არსებობდეს ერთიანი ძლიერი ქართული სახელმწიფო, რომელიც თავისი გეოპოლიტიკური მონაცემებით და მაღალი ეროვნული კულტურით ყოველთვის ითვლებოდა კავკასიის ცენტრად. აქვე არის მეზობელი სახელმწიფოების მუდმივი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები საქართველოსადმი. ამ მისიას მიხეილ სააკაშვილი თავისი გუნდით, როგორც ჩანს, დღემდე წარმატებულად ასრულებდა.

მიხეილ სააკაშვილის სადაზვერვო და დივერსიულ ჯგუფში შესაძლებელია შედიოდეს სულ მცირე, რამდენიმე ადამიანი, ვინც იცოდა აღნიშნული მისიის მთავარი მიზანი, დანარჩენი გუნდის წევრები კი, ვინც საქართველოს, როგორც ქართველთა ქვეყნის განადგურებაში მონაწილეობენ, უბრალოდ თანამდებობისა და ფულის მორჩილნი არიან, მსგავსად ბრძენთა დარიგებისა: „სადაც არის ძუნწი და რეგვენი, იქ გამოჩნდება ჭკვიანი მზაკვარი, რომელიც წარმართავს მას თავისი გეგმების მიხედვით".

სანამ მთავარ სათქმელს ვიტყოდე, ვფიქრობ საინტერესო და აუცილებელი იქნება მოკლე ისტორიული ექსკურსით წარმოვადგინო სადაზვერო სამსახურების უდიდეს როლი თავისი სახელმწიფოს წინაშე.

მზვერავის პროფესია უძველესი დროიდან ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანების ცხოვრებიდან ლებულობს სათავეს და დღეს ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ჩვენთვის წარმოუდგენელ სიმაღლეებს მიაღწია. მიუხედავად ამისა, სადაზვერვო სამსახურის უპირველესი ამოცანა, შეესწავლათ მტერთან მისასვლელი გზები, დღემდე უცვლელი რჩება და არ კარგავს თავის აქტუალობას. სანამ მიხეილ სააკაშვილის გუნდის მიერ საქართველოში განხორციელებულ კონკრეტულ სადაზვერვო და დივერსიულ ფაქტებზე ვისაუბრებდეთ, სადაზვერვო სამსახურის ისტორიიდან მოვიყვან ერთ ბრწყინვალე მაგალითს, რომელიც კიდევ უფრო ნათელს ხდის სააკაშვილის გუნდის დანიშნულებას საქართველოში.

გამორჩენილმა ქართველმა მამულიშვილმა გიორგი ყაზბეგმა 1874 წელს რუსეთ -თურქეთის ომის წინ, „ოსმალოს საქართველოში" იმოგზაურა. გიორგი ყაზბეგს ამის საშუალება მხოლოდ და მხოლოდ კონსპირაციულად მიეცა. იგი ბანაკარ გრიგოლ გურიელის შვიდკაციან ამალაში მსახურად ითვლებოდა, სინამდვილეში რუსეთის არმიის ოფიცერი იყო. მის მთავარ მისიას მოსალოდნელი ომის წინ სადაზვერვო დანიშნულება წარმოადგენდა, რომელიც შემდგომ რუსეთის არმიას ამ ტერიტორიაზე ოსმალეთის ჯარების წინააღმდეგ გაუადვილებდა სამხედრო ოპერაციების წარმოებას. გიორგი ყაზბეგმა ეს დავალება ბრწყინვალედ შეასრულა. „მოგზაური მზვერავი" ამ მხარის დეტალურად დახასიათებისას განსაკუთრებულად აღწერს ადგილმდებარეობას, თუ რა მდგომარეობაშია მთავარი და მეორეხარისხოვანი გზები, მწვერვალები და მათი სიმაღლე ზღვის დონიდან, ულელტეხილები, მდინარეები და მათი კალაპოტის სიფართე, ხიდების ასაკი, როგორი გამძლეობისაა ისინი, მათი არქიტექტურული მნიშვნელობა და ასე შემდეგ. გიორგი ყაზბეგის სადაზვერვო „მოგზაურობის" მთავარ მიზანს ადგილმდებარეობის აღწერასთან ერთად ასევე წარმოადგენდა ოსმალოს საქართველოში მცხოვრებ მუსლიმან ქართველთა განწყობა. კერძოდ, ხულოში გიორგი ყაზბეგი გაეცნო აჭარლის ხასიათს, მათ დამოკიდებულებას რუსეთისა და საქართველოსადმი, დარწმუნდება აჭარის მართველი ხიმშიაშვილისა და აჭარელი მოსახლეობის პროქართულ ორიენტაციაში, რომელსაც შემდგომში როლი ეთამაშება რუსეთ- თურქეთის ომის წინ დაკარგული ისტორიული ქართული ტერიტორიების დასაბრუნებლად.

კავკასიაში, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, არ უნდა არსებობდეს ერთიანი ძლიერი ქართული სახელმწიფო, რომელიც თავისი გეოპოლიტიკური მონაცემებით და მაღალი ეროვნული კულტურით ყოველთვის ითვლებოდა კავკასიის ცენტრად. აქვე არის მეზობელი სახელმწიფოების მუდმივი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები საქართველოსადმი. ამ მისიას მიხეილ სააკაშვილი თავისი გუნდით, როგორც ჩანს, დღემდე წარმატებულად ასრულებდა.

გიორგი ყაზბეგი ასევე დიდ ყურადღებას აქცევს ოსმალეთის ხელისუფლების დამოკიდებულებას თავისი სახელმწიფოს და ეროვნული უსაფრთხოების მიმართ.

„აზიის თურქეთში მოგზაურობა არც თუ ისე უხიფათოა, განსაკუთრებით რუსეთის მოსაზღვრე ადგილებში. ჩვენს მეზობელს (თურქებსძ ყველაფერში მუქარა ელანდება. ამიტომაც მოგზაურის ყოველ ნაბიჯს, ყოველ შეკითხვას, განსაკუთრებით კი ცდას – ჩაიწეროს ან ჩაიხატოს რაიმე, წინ ათასგვარი დაბრკოლება ეღობებაო, ამბობს გიორგი ყაზბეგი. როგორც ვხედავთ, ოსმალეთის სახელმწიფო თავისი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, უკიდურესად ფრთხილ დამოკიდებულებას იჩენს მეზობელ სახელმწიფოებთან, კერძოდ რუსეთის იმპერიასთან დაკავშირებით.

დღევანდელი რეალობიდან კარგად ჩანს რომ ოსმალეთის მემკვიდრე თურქეთის სახელმწიფო ღირსეულად აგრძელებს წინაპართა ტრადიციებს საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავად, რასაც სამწუხაროდ ვერ ვიტყვით მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაზე. ვფიქრობ საკითხის საფუძვლიანად წარმოჩენისათვის გიორგი ყაზბეგისა და მიხეილ სააკაშვილის შედარების დროს თემა უნდა განვიხილოთ სამ ნაწილად:

1ძ ტერიტორიების აღწერა და ქვეყანაში მიმდინარე მშენებლობა;

2ძ მოსახლეობის ხასიათი- განწყობა, ეროვნული მენტალიტეტი;

3ძ ქვეყნის სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დამოკიდებულება.

თუ ზემოთქმულიდან გამომდინარე დავუკვირდებით მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ 8 წლის მანძილზე გაწეულ მუშაობას, დავინახავთ, რომ მთელი ყურადღება საქართველოს ყოველი კუთხის მიმართულებით, თითქოსდა კეთილშობილური მისიით, გადატანილია ცენტრალური გზებისა და აეროპორტების მშენებლობაზე.

რა თქმა უნდა, კარგი გზები ყოველი ქვეყნის მოსახლეობის განვითარება-კეთილდღეობისთვის უპირველესად აუცილებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში სწორედ, რომ მხოლოდ გზების მშენებლობაზეა გამახვილებული ყურადღება და არა მოსახლეობის კეთილდღეობაზე. ამას მოწმობს სხვადასხვა სოფლებზე თუ ქალაქებზე გამავალი ცენტრალური გზების პარალელურად უყურადღებოდ და უპატრონოდ მიტოვებული მოსახლეობის მდგომარეობა... ტურიზმის ნილაბქვეშ მოსახლეობის უკიდურესი სიღატაკის ფონზე შენდება საჭიროზე ბევრად მეტი რაოდენობის აეროპორტები. ქალაქ ბათუმის აეროპორტი კი საქართველოსა და თურქეთის ხელისუფალთა შეთანხმებით, თურქეთის შიდამომსახურების აეროპორტის დანიშნულებას ასრულებს, ანუ ბათუმის აეროპორტი ტერიტორიულად თურქეთის აეროპორტსაც წარმოადგენს. ამავე დროს ქალაქ ბათუმის ირგვლივ თურქ ბიზნესმენთა მიერ დაკავებულია ყველა სიმაღლე სხვადასხვა სამოქალაქო ობიექტების სახით... აღნიშნული სიმაღლეები ადრე ქართველ მხედართმთავართათვის თუ ყოველი დამპყრობელისთვის (ვინც კი აქ იყო გამაგრებულიძ მთავარ სტრატეგიულ ობიექტებს წარმოადგენდა, საიდანაც ხორციელდება სრული კონტროლი ბათუმის პორტზე, ასევე მთლიანად მის შემოგარენზე სარფისა და ქობულეთის მიმართულებით. თანდათან ხდება თურქ მოქალაქეთა მიერ აჭარისწყლისა და ჭოროხის ხეობების ათვისება თავისი შენაკადებითა და შემოგარენით. ანუ ნატოს საზღვართან მათ მიერვე ათვისებულია მთლიანად აჭარა სტრატეგიული ობიექტებით, თავისი მთითა და ბარით. ათვისებულია სვანეთი, სახმელეთო და საჰაერო სივრცით , საუკეთესო გზებითა და აეროპორტებით. სვანეთში, კავკასიაზე, რუსეთის საზღვართან, რომლის დაპყრობასაც თვით ჰიტლერი მეორე მსოფლიო ომის დროს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, არაფერს არ იშურებდა ძლიერი სადაზვერვო და დივერსიული ჯგუფების გადმოსასროლად, დღეს იქ სააკაშვილის მეშვეობით ნატოს ჯარებისათვის ყველა პირობაა შექმნილი.

მიმდინარეობს გოდერძის ულელტეხილის ათვისება იგივე დანიშნულებით... გზებით, აეროპორტებით და ელექტროენერგიით უზრუნველყოფის პარალელურად, ირანთან ნატოს ქვეყნების მოსალოდნელი ომის პირობებში საქართველოს ყოველ რაიონულ ცენტრში სასწრაფო რეჟიმში გაიხსნა სამკურნალო კლინიკები, რომელშიც მკურნალობა ჩვენი მოსახლეობისათვის დიდი გადასახადების გამო შეუძლებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბოლოო ჯამში ვღებულობთ შემდეგ სურათს : განადგურებულ სოფლის მეურნეობას, ადგილობრივ მოსახლეობისაგან დაცლილ სოფლებს, თავის გადასარჩენად უცხო ქვეყნებში გადახვეწილ ჩვენს თანამემამულეებს , ტელეარხებითა და ბეჭდვითი საშუალებებით გარყვნილებისა და უზნეობის პროპაგანდას, რათა საქართველოში დარჩენილ მოსახლეობას გამოაცალონ ღირსება, რადგანაც ღირსებადაკარგული ადამიანი ადვილად ჰყიდის ყველას და ყველაფერს. იხურება ქორწინების სახლები და იხსნება საროსკიპოები, ახალგაზრდა ქართველი ინტელექტუალის ნიჭი მხოლოდ უცხოეთში პოულობს აღიარებასა და დაფასებას, სამშობლოში მას ამის პერსპექტივა არ გააჩნია...

მიხეილ სააკაშვილის სახით უცხოეთის სადაზვერვო სამსახურებმა, მზვერავის პროფესიამ, კაცობრიობის განვითარების ისტორიაში უპრეცედენტო განვითარებას მიაღწია! ქვეყნის უმაღლეს პოსტზე მოვლენილმა ადამიანმა უმოკლეს დროში დაიპყრო საკუთარი მოსახლეობის გული, შეისწავლა და განაიარაღა, გააღატაკა სულიერად და მატერიალურად, მოამზადა ყველა პირობა აქ უცხო ქვეყნების სამხედრო ტექნიკის, ბაზების განსალაგებლად, საჭიროების შემთხვევაში მათი ჰოსპიტალიზირებით, დასვენების დროს კი ადგილობრივი კადრებით გართობის ყველა საშუალებით...

გზების, აეროპორტების, საავადმყოფოების მშენებლობის პარალელურად უცხოელებზე გაიყიდა ყველა სტრატეგიული ობიექტები, ქართული მიწები, წაიბილწა ქართული ენა და შეირყა სარწმუნოება.

ქართული ეროვნული დოვლათისა და სულიერების განადგურებით მიმდინარეობს ბრძოლა საქართველოსთან, როგორც ქართველთა ქვეყანასთან.

აღნიშნულ ფაქტებთან ერთად, საქართველოში მიხეილ სააკაშვილის, სადაზვერვო და დივერსიულ მისიაზე ისიც მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში მემკვიდრეობით დარჩენილი გასაიდუმლოებული ბიოლოგიური ლაბორატორია, სადაც ინახებოდა უდიდესი მნიშვნელობის გამოკვლევები, გაუქმდა, გასაიდუმლოებული ნაშრომები კი აშშ-შია გადატანილი...

დასასრულს შეიძლება ითქვას შემდეგი:

– გიორგი ყაზბეგი, რუსეთის არმიის ოფიცერი, სადაზვერვო მისიის შესრულების დროს უპირველესად თავის მამულიშვილურ ვალს იხდიდა აჭარისა და სხვა დანარჩენი, ოსმალეთისაგან მიტაცებული ქართული ტერიტორიების დედასაქართველოსთან დასაბრუნებლად, მისგან განსხვავებით, მიხეილ სააკაშვილი, ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი, მოვლენილი „ვითარცა მგელი ცხვრის ქურქში" თავის ქვეყანას ანადგურებს უცხო ქვეყნების ინტერესების სამსახურში.

– გიორგი ყაზბეგი მტრის ტერიტორიაზე აღწერს მტერთან მისასვლელ გზებს, მიხეილ სააკაშვილი კი თავის სამშობლოში აშენებს მტრის შემოსაყვან გზებს;

– გიორგი ყაზბეგი დაიმედებით და სიამაყით აღწერს სამუსლიმანო საქართველოს, კერძოდ ხულოს მკვიდრთა პროქართულ ორიენტაციას, ქართულ ეროვნულ მენტალიტეტს, მიხეილ სააკაშვილი კი ებრძვის ამ ეროვნულ მენტალიტეტს. მისი გათვლით 15-20 წელი სჭირდება ქართული მენტალიტეტის შეცვლას, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ვერავითარმა მტერმა ვერაფერი დააკლო.

– გიორგი ყაზბეგი აღწერს თუ რა სიფრთხილეს იჩენს ოსმალეთის ხელისუფლება რუსეთთან საზღვრების მიმართ, რომლისგანაც საფრთხეს ელოდება, მიხეილ სააკაშილი კი თითქმის მთლიანად მოშლის ამ საზღვრებს და საქართველოს მეზობელი ხალხისა და ათასი რჯულის გადამთიელთა ბიზნეს და გასართობ ობიექტად აქცევს, ნატოს ქვეყნებს კი რუსეთის საზღვრებთან ყველა სასარგებლო პირობებს უქმნის სტრატეგიული თვალსაზრისით. ასეთი დამოკიდებულება, ბუნებრივია, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მოშლასთან ერთად ასევე რუსეთის სახელმწიფო უსაფრთხოებასაც უქმნის საფრთხეს, რის შედეგადაც მივიღეთ დაკარგული აფხაზეთი, ცხინვალი და კვლავ არის საშიშროება სხვა რეგიონების დაკარგვისა...

როგორც ვხედავთ, მიხეილ სააკაშვილის სახით უცხოეთის სადაზვერვო სამსახურებმა, მზვერავის პროფესიამ, კაცობრიობის განვითარების ისტორიაში უპრეცედენტო განვითარებას მიაღწია! ქვეყნის უმაღლეს პოსტზე მოვლენილმა ადამიანმა უმოკლეს დროში დაიპყრო საკუთარი მოსახლეობის გული, შეისწავლა და განაიარაღა, გააღატაკა სულიერად და მატერიალურად, მოამზადა ყველა პირობა აქ უცხო ქვეყნების სამხედრო ტექნიკის, ბაზების განსალაგებლად, საჭიროების შემთხვევაში მათი ჰოსპიტალიზირებით, დასვენების დროს კი ადგილობრივი კადრებით გართობის ყველა საშუალებით...

– თუ გიორგი ყაზბეგი როგორც მზვერავი, „თურქეთის საქართველოში" ახერხებდა მხოლოდ ადგილმდებარეობის აღწერას, მიხეილ სააკაშვილმა სადაზვერვო მისიასთან ერთად მიზანმიმართული ანტიეროვნული პოლიტიკით განახორციელა ასევე დივერსიული დარტყმები, რამაც სრულებით მოშალა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება და ქართველი ერი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დააყენა...

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია და მოვითხოვთ: სააკაშვილმა და მისმა გუნდმა, ქართველი ერის წინაშე ჩადენილი დანაშაულების გამო სასწრაფოდ დატოვონ თანამდებობები და წარსდგენ სასამართლოს წინაშე, სხვაგვარად ქვეყანაში წესრიგი და სამართლიანობა არასოდეს დამყარდება. ამას მოითხოვს სამართლიანობა, ამას მოითხოვს ჩვენი ეროვნული უსაფრთხოება, მომავალი კეთილდღეობა.



**ნიაზ ბოლქვაძე,**
ფილოსოფოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, მამულიშვილთა კავშირის თავმჯდომარე. ბათუმი.

## ვინ ამღვრევს წყალს



# ქურდები და ფინანსები

**„ნაციონალური მოძრაობისგან“ მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ სოციალური ქსელებით უამრავი ინფორმაცია ვრცელდება. ხალხში ხმები დადის და „თეთრების“ ლიდერმა თემურ შაშიაშვილმაც ამ თემას სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნა — ყველა გააფრთხილა, რომ ყოფილი მმართველი პარტია გულხელდაკრეფილი არ ზის, არეულობისთვის ამზადებს ნიადაგს და ფრთხილად იყავითო.**

**თუ რამ შეიძლება გამოიწვიოს დღეს საზოგადოების შეშფოთება, ორ ძირითად ნაწილად იყოფა. ერთია კრიმინოგენური ვითარების დამძიმება, მეორე — ფინანსური ნაწილი — გავრცელებული ინფორმაციით, ხაზინა ცარიელდება.**

უკვე ხდება წვრილ-წვრილი ქურდობები თუ ვითომ ქურდობები, ხულიგნობები თუ ვითომ ხულიგნობები. ჯერ ცნობილ უდესიანის რაზმზე ითქვა, შეგნებულად ძაბავს სიტუაციას, შემდეგ თავად უდესიანმა გაავრცელა განცხადება, უდანაშაულო ვარ და ცილს ნუ მწამებთო.

„ბათუმი და ბათუმელები“ ასევე სოციალური ქსელებით ავრცელებს ინფორმაციას, რომ აჭარის კუდის უფროსი თემურ პატარიძე, ყოფილ პატიმრებს, ვისაც პირობითი სასჯელი აქვს, შანტაჟით და მუქარით აიძულებს ოქტობრის განმავლობაში, განსაკუთრებით თვის ბოლოს, დაიწყონ მოქალაქეების ძარცვა და ბანდიტიზმი ქალაქში. მათ ეუბნება, რომ აქვთ გეგმა და ექვს თვეში ისევ ხელისუფლებაში დაბრუნდებიან. ეს ინფორმაცია სარწმუნოა და ამაზე საუბრობს ათობით ყოფილი პატიმარი, რომლებიც არ აპირებენ ამ ბინძურ საქმეში მონაწილეობას.

მსგავს ინფორმაციას სპეციალურად ავრცელებენ საზოგადოებაში, პანიკის გამოსაწვევად, თუ „ნაციონალური მოძრაობა“ მართლაც რაღაცისთვის ემზადება, ეს აუცილებლად გაირკვევა, თანაც ძალიან მალე, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ამ ყველაფრის პროვოცირება იმ ტონმა გამოიწვია, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს არჩევნების შემდეგ პირველი პრესკონფერენციისას ჰქონდათ. დავით ბაქრაძემ და აკაკი მინაშვილმა ღიად თქვეს, რომ ოპოზიციაში კი არა, „ჩასაფრებაში“ გადადიოდნენ. შემდგომში უკვე მომლაპარაკებელი ოთხეულის — ბაქრაძე-ბოკერია-კუბლაშვილი-უგულავას გუნდისგან ღიად ისმოდა აშკარად საქმიანი და სათანამშრომლოდ მზად მყოფი ადამიანების ტონი, თუმცა, კულუარებში რას ავალებენ თავიანთ აქტივისტებს, ესეც მალე გაირკვევა, ისევე, როგორც ძალიან მალე გაიშიფრა, მაგალითად, ზუგდიდში არჩევნების გაყალბების სქემა.

კიდევ ერთი თემაა ხმები საქართველოში ქურდების შემოსვლის შესახებ. ერთ-ერთმა გამოცემამ კანონიერი ქურდის ლაშა შუშანაშვილის საქართველოში ჩამოსვლის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია, თუმცა, აქ თავისათავად საეჭვოა ის წყაროები, საიდანაც შეიძლებოდა ეს ინფორმაცია გავრცელებულიყო. ამის გარდა, არც ის დავიწყებია საზოგადოებას, რომ რამდენიმე წლის წინათ სწორედ ნაციონალური ხელისუფლების თვალსაჩინო წარმომადგენელი გივი თარგამაძე შეიმჩნეოდა კანონიერ ქურდებთან, მათ შორის ლაშა შუშანაშვილთან კავშირში.

რაც შეეხება საზღვარზე მოძრაობას, ჯერჯერობით, მედიით ვრცელდება ინფორმაცია, რომ ქვეყანა დატოვეს იუსტიციის მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა, თავდაცვის მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და შს მინისტრმა ბაჩო ახალაიამ თავის გუნდთან ერთად, რომელშიც მისი ძმა, მისი მოადგილე მეგის ქარდავა და კიდევ გუნდის რამდენიმე წევრი შედის - დავით ჭაკუა, გიორგი დგებუაძე (მასტერაძ და ზურაბ მიქაძე. ისიც ცნობილია, რომ რამდენიმე მათგანი სამსახურებრივი ავტომანქანით გაიყვანეს ქვეყნიდან.

საზღვრის გადმოკვეთის შესახებ მსგავსი ინფორმაციები არ არის, თუმცა თუ ქურდების ძებნას ვიწყებთ, უმჯობესია ჩვენი ძალოვანებისგან მივიღოთ ეს ინფორმაცია, რადგან საინტერესოა, იმ სამოცი კანონიერი ქურდიდან, რომელიც საპატიმროში ჰყავდათ, რამდენია დღეს ციხეში და რამდენი — უცხოეთში.

მეორე თემა, რომელიც საზოგადოებას აღელვებს, არის ფინანსები. ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ხდება საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი ფლანგვა. დადასტურებული ინფორმაციაა, რომ თავდაცვისა და განათლების სამინისტროების ყველა თანამშრომელს გასული კვირის ბოლოს პრემიები გადაერიცხათ, არსებობს ინფორმაცია, რომ პრემიები ყველა სამინისტრომ გასცა. ჩვენი ინფორმაციით, ძალზე მაღალი პრემიები გაიცა მინისტრების გუნდის წევრებზე საუბარია დაახლოებით 50-70- კაციან გუნდებზე, ხოლო დანარჩენ თანამშრომლებს, პრემიები ხელფასის ოდენობით ჩაერიცხათ.

ისევ პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის სიტყვები გავიხსენოთ: ახალი ხელისუფლების თითოეულ ნაბიჯს გააკონტროლებენ და მერე არ თქვან, რომ ბიუჯეტში ფული არ დაგვხვდა და დაპირებებს ამიტომ ვერ ვასრულებთო.

ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ხაზინაში იმდენი ფულია, რაც არასოდეს არ ყოფილა, ეროვნულ ბანკშიც არსებობს მყარი სავალუტო რეზერვები და ფინანსების კუთხით ახალ ხელისუფლებას პრობლემები არ შეექმნება.

რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, ისინი განცხადებებს მას შემდეგ გააკეთებენ, რაც ფინანსთა სამინისტროში შევლენ და ნახავენ რა მდგომარეობაა. როგორც „ქართული ოცნების“ წევრი ნოდარ ხადური ამბობს, სამინისტროებს თუ მხოლოდ პრემიები ჩაერიცხა, ეს ბიუჯეტს ვერ გააკოტრებს, ამ ეტაპზე მათ არაფრის თქმა არ შეუძლიათ და თუ აღმოჩნდება, რომ ბიუჯეტში რაღაც ისე არ არის, პასუხისმგებლობა მთლიანად „ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობას დაეკისრება. რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს, საბიუჯეტო ორგანიზაციები ხელფასებს ვერ აიღებენ, ნოდარ ხადური ამბობს, მსგავსი რამ გამორიცხულიაო.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელი დავით ონოფრიშვილი ამბობს, რომ თუ ეს ხარჯები გაწეულია ბიუჯეტის კანონის დარღვევით, ამაზე შესაბამისი რეაგირება აუცილებლად იქნება.

„ჯერ არ ვიცით რა ხდება, მოდის ხმები, რომ თავდაცვისა და განათლების სამინისტროებში გაიცა პრემიები, მაგრამ პრემიებსაც გააჩნია. ჩვენამდე მოვიდა ინფორმაცია, რომ მინისტრებზე, მათ მოადგილეებსა და დეპარტამენტის ზოგიერთ უფროსზე კოლოსალური თანხებია გაცემული. ყველამ კარგად გაიგოს, მათ შორის ფინანსთა სამინისტრომ და ხაზინამ, ასევე იმ სამინისტროების ხელმძღვანელობამ, ვინც ამას აკეთებს, თუ ეს კანონს არ შეესაბამება, ძალიან მკაცრად დაისჯებიან კანონმდებლობის შესაბამისად“, — აცხადებს დავით ონოფრიშვილი.

მოკლედ, ძალიან მალე „ქართულ ოცნებას“ შეეძლება უკვე კონკრეტულად ილაპარაკოს რა მდგომარეობა დახვდება როგორც ფინანსთა, ასევე სხვა სამინისტროებში.

ერთადერთ დახურულ და ხელშეუხებელ ზონად პრეზიდენტის ფონდი რჩება, სააკაშვილის თანხების კონტროლი მისივე განკარგულებით, სახელმწიფო დაცვის სამსახურს მიენიჭება. სავარაუდოდ, საპრეზიდენტო არჩევნებამდე სახელმწიფო დაცვის სამსახურის დოკუმენტაციასაც განაჩენი უკვე გამოტანილი აქვს — რომელიმე ნაგავსაყრელზე დაწვა.

ალბათ, მალე ბევრი ისეთი ინფორმაციაც გამჟღავნდება, რაც კიდევ არაერთხელ აღაშფოთებს საზოგადოებას, თუმცა კოალიციის ლიდერი გვაიმედებს, რომ მალე ქვეყანაში ყველაფერი დალაგდება და მოწესრიგდება.

**მარიამ თოდაძე**

## რას არ მოვესწარით!..

# ხარაგაულის გამგებელი „დროებით“ გაუჩინარდა

**ხარაგაულის გამგებელი თორნიკე ავალიშვილი თუ სასწრაფოდ სამსახურში არ გამოჩნდება, მის წინააღმდეგ პროკურატურაში საჩივარი შევა. თუ გამოჩნდება და გამგეობიდან გვიან ღამით წაღებულ დოკუმენტებსაც დააბრუნებს, მაშინ ხარაგაულის საკრებულოში სპეციალური კომისია შეიქმნება, რომელიც შეისწავლის ერთ კონკრეტულ საქმეს, რომლის ირგვლივაც დეტალურად ოდნავ ქვემოთ გიამბობთ.**

ხარაგაულის გამგებლის გაუჩინარების ამბავი **for.ge**-სთვის სარწმუნო წყაროსგან გახდა ცნობილი, რის შემდეგაც ეს ინფორმაცია გადავამოწმეთ ნოდარ ებანოიძესთან, რომელიც „ქართული ოცნების“ წევრია; მან 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა და ახალ პარლამენტში ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი იქნება. აქამდე ის ხარაგაულის საკრებულოს წევრი გახლდათ, „რესპუბლიკური პარტიიდან“.

გუშინ ნოდარ ებანოიძემ საჩივარი დაწერა, უცნაურობებით სახელგანთქმული ხარაგაულის გამგებლის შესახებ.

**„ხარაგაულის გამგეობამ 2012 წელს პროცედურების დარღვევით შეიძინა ავტომანქანა „მიცუბიშ პაჯერო“, რომელშიც 35 000 ლარი გადაიხადა. დაახლოებით ერთი თვის წინ გამგებელმა ამ ავტომანქანით ავარია გააკეთა, საჭესთან თავად იჯდა. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ამ ავარიის შედეგად თორნიკე ავალიშვილს ტვინის შერყევა ჰქონდა, მანქანა სერიოზულად დაზიანდა.**



**სექტემბრის დასაწყისში საკრებულოს სხდომაზე გამგებელს შეკითხვა დავუსვი და მან მანქანის დაზიანების ფაქტი უარყო. სამი დღის წინ მოვითხოვე ინფორმაცია მანქანის შესაკეთებლად გაწეული ხარჯის ირგვლივ. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ზემოხსენებული მანქანის შესაკეთებლად ბიუჯეტიდან 15 000 ლარი გადაირიცხა. ეს ინფორმაცია გადავამოწმე და დადასტურდა.**

**10 ოქტომბერს ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მოვითხოვე. მალე ცნობილი გახდა, რომ მან გააფრთხილა საფინანსო განყოფილება, რომ ჩემთვის მანქანის შესაკეთებლად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები არ გადმოეცათ.**

**ღამის საათებში გამგებელმა ბუღალტერი გამგეობაში გამოიძახა და ეს დოკუმენტები იმ საბაბით გამოართვა, რომ პირადად გადმომცემს. ამ დოკუმენტებთან ერთად გამგებელი გაუჩინარდა. დოკუმენტების გამგეობიდან გატანა კანონის უხეში დარღვევაა.**

**11 ოქტომბერს გამგებელი სამსახურში არ გამოცხადებულა. მას დოკუმენტებთან ერთად ეძებენ. რამდენადაც ვიცი, ტელეფონით უთქვამს ექიმთან ვარო.**

**პოლიციაში გადავამოწმე ინფორმაცია ავარიის თაობაზე და აღმოჩნდა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით შეტყობინება არ შესულა. მე უკვე დავწერე მიმართვა-საჩივარი პროკურატურის სახელზე და თუ გამგებელი სასწრაფოდ არ გამოჩნდება, პროკურატურას წერილობით მივმართავ. თუ გამოჩნდება და დოკუმენტებს წარმოადგენს, ამ საქმეს საკრებულოს სპეციალური კომისია შეისწავლის“,** — გვითხრა ნოდარ ებანოიძემ.

**ნინო მიქიაშვილი**

## ვარიანტები

### იმპიჩმენტი თუ გადადგომა

**საქართველოში საინტერესო სიტუაცია შეიქმნა. პრეზიდენტი ოპოზიციაშია, პარლამენტში კი სოლიდური უპირატესობით მოვიდა კოალიცია „ქართული ოცნება“. როგორ განვითარდება მოვლენები? არსებობს რამდენიმე ვერსია.**

**იმპიჩმენტი. იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას უნდა დეპუტატთა საერთო რაოდენობის 2/3 შემდეგ პრეზიდენტის ბრალეულობის მიხედვით (ღალატი, სისხლის სამართლის დანაშაული) საქმე გადაეცემა უზენაეს სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს (კონსტიტუციის დარღვევის შემთხვევაში).**

**სასამართლოებიდან დადებითი პასუხების მიღების შემთხვევაში პრეზიდენტის ბედს მაინც პარლამენტარები წყვეტენ. იმპიჩმენტის დაწყება და დამთავრება ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს პრეროგატივაა. მიღებული პასუხების შემდეგ იწყება პროცედურა, რასაც დეპუტატების საერთო რაოდენობის ნახევარი სჭირდება, აი პროცედურის დამთავრებას და საბოლოო ვერდიქტის გამოტანას კი — ხმების ორი მესამედი.**

**როგორც იურისტები ვარაუდობენ „ოცნებისათვის 1/3-ის და ნახევარის შეგროვება პრობლემა არ იქნება. 2/3-ის, ანუ 100 დეპუტატის ხმის მოგროვება კი კოალიციას გაუჭირდება.**

### გადადგომა

**თუ სააკაშვილი გადადგა (პარლამენტის მუშაობის დაწყებამდე) მის მოვალეობას შეასრულებს მოქმედი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე. იგი ამ პოსტზე 45 დღე დარჩება. სწორედ ამ ვადაში უნდა მოხდეს საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა. იურისტები, პოლიტოლოგები ამ გარემოებას ნაკლებად მისაღებს უწოდებენ.**

### მთავრობის არ დამტკიცება

**პროფესიონალები ყველაზე ცუდ ვარიანტად თვლიან ფაქტს, თუ პარლამენტს ღმერთი გაუწყრა და მთავრობა არ დაამტკიცა, მსგავსს სამგზის განმეორების შემთხვევაში პრეზიდენტს უფლება აქვს პირადად დანიშნოს პრემიერ-მინისტრიცა და მთელი მინისტრთა კაბინეტიც. მოქმედი კონსტიტუციით ქვეყნის პირველ პირს არ შეაუძლია ახლად არჩეული პარლამენტის პირველი 6 თვის განმავლობაში დათხოვნა.**

**ეს შემთხვევა უნიკალური იქნება მსოფლიო პოლიტიკაში. პარლამენტში უმრავლესობა იქნება სხვა პოლიტიკური ჯგუფიდან, პრეზიდენტი და მთავრობა სხვა ჯგუფიდან. იურისტთა ვარაუდით, არ არის გამორიცხული არსებული ვერსიებიდან „ნაცებმა“ რომელიმე რეალობაში გამოიყენონ და ახალ ხელისუფლებას შანტაჟი მოუწყონ.**

**ზაზა ბილიხოძე**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №195



*— მე ამ ჩოხაში უნდა დავიმარხოო... ჩოხის განათხოვრება არ უყვარდა...“ — იგონებდა სიმონ ბერეჟიანი ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი ლიდერის, მოძრაობა „ქართლოსის“ დამაარსებლის, პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის კოკი დადიანის გათხრილ სამარესთან, საფრანგეთში, ლევილის სასაფლაოზე... შინდისფერი დროშის ქვეშ, შავ ჩოხაში იწვა კუბოში, მართლაც გამორჩეული პიროვნება და გულწრფელად დასტიროდა ქართული ემიგრაცია. მერე მის საფლავის ქვაზე ასეთი წარწერა გაჩნდა: „სთქვი, რომ წარწერა იხილე ლოდზე: ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“...*

*კოკი დადიანის გადარჩენილი მემკვიდრეობის ნაწილი (ხელნაწერები, ფოტოები, პირადი წერილები) ჯერ კიდევ „დათბობის“ პერიოდში საფრანგეთიდან ჩამოიტანა კოკი დადიანის ქალიშვილმა ქალბატონმა ბაბო დადიანმა.*

*ცოტა ხნის წინათ ეს არქივი შთამომავლებმა, სხვა უნიკალურ ფოტომასალებთან და ხელნაწერებთან ერთად, საპატრიარქოს ტელევიზიას „ერთსულოვნებას“ გადასცეს.*

*მეოთხე სართულზე ბაბო დადიანის ოთახ-მუზეუმში უაღრესად საინტერესო ექსპონატები გამოიფინა. მიმდინარეობს ფონდის აღწერა-დამუშავება, რის შემდეგაც დაიწყება ამ მასალების ტელეპუბლიკაციები.*

*დღეს „კვირაძალს საკითხავი“ გთავაზობთ კოკი დადიანის ერთ-ერთი უცნობი ხელნაწერის პუბლიკაციას (ფრაგმენტებს ხელნაწერიდან) სათაურით „ტანსაცმელი“. გაკვირვებას იწვევს დეტალური ცოდნა ტანსაცმლის დიზაინისა...*

*და აქ ერთი რამ არის კიდევ საგულისხმო: წარსულში სამეგრელოს თავადაზნაურობის წინამძღოლი და შემდგომ ქართული ემიგრაციის ლიდერი კოკი დადიანი თვლის, რომ არავითარი ღირებულება არა აქვს ჩაცმას, თუ მასში პიროვნული გემოვნება არ მონაწილეობს...*

*(ავტორის სტილი დაცულია)*

# „პიროვნული გემოვნებისთვის“...

ჩოხა-ახალუხზე, ფეხსაცმელზე და წელის იარაღზე ვიტყვი ორიოდ სიტყვას. ახლა რომ ვუყურებ, გული მიკვდება, რაზომ დამჭლევებული და გახუნებულია ეგ ლამაზი და თანაც იშვიათი სატარებლად ტანსაცმელი. ჩოხა ყველას ერთნაირი აცვია, შვენით თუ არ შვენით. თან ყველას ძალიან მოკლე და ახალუხის მაგივრად უბრალო ბლუზა, არავითარი პიროვნული გემოვნება არ შეაქვთ... ამ თვალსაზრისით ყველაფერი უნდა იყოს გაზომილი, თორემ სტილიც იკარგება და შინაარსიც. ერთმა „ინტელიგენტმა“ მითხრა: ჩოხის კალთები ფრაკივით უნდა შემოვკეცოთ და ახალუხის საყელო გახამაბული უნდა იყოსო... მოდი და ასეთ კაცს სტილზე ებაასე. „ევროპელს მოეწონებაო“. რას იზამ, გაევროპელების და ევროპის გემოვნების დაკმაყოფილების სურვილით გატაცებულ კაცს აბა რა უნდა ელაპარაკო. ჩოხა-ახალუხი ეს არის ქართული ტანსაცმელი...

არსებობს დასახელება „ჩერქეზული“. წინათ ძალიან ლამაზად იცვამდნენ ჩერქეზები და მთიელები, მაგრამ მათი დიდი ნაწილი გადასახლდა ოსმალეთში, ნაწილი რუსეთში დარჩა, ძალიან დადაბლდა სტილი, მათი ჩაცმა.

ჩვენამდე კი, ე. ი. დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ქუთაისში, ძალიან აიწია ის სიმშვენიერე, რომელიც მთიელებს ჰქონდათ, აქ გადმოვიდა. ამაში დიდი როლი ითამაშა აფხაზეთის მთავრის შვილმა **გიორგი შარვაშიძემ,** რომელსაც ახსოვდა ძველი და თვით, როგორც უსაზღვრო გემოვნების კაცმა, კიდევ უფრო გააკეთილშობილა და გაალამაზა ქართული ტანსაცმელი.

ჩოხის ერთი თარგი არ არსებობს, როგორც მაგალითად ფრაკის ან პიჯაკის. ჩოხა ბევრნაირად შეიძლება კაცმა შეიკეროს და ამაშია ნიჭი და მიხვედრილობა ჩამცმელისა: რა დამშვენდება მის ტანს? გრძელი თუ მოკლე, სრული თუ ვიწრო ან საშუალო, საქილე როგორ — მაღალა თუ დაბლა და ა. შ. ცოტა, რა თქმა უნდა, მოდაზეც არის დამოკიდებული, მაგრამ თუ არ გშვენის, მოდას არ უნდა აჰყვე.

მოკლე ჩოხა, რომ ჯდომისას მუხლები უჩანდეს, ომის დროს შემოვიდა (1914 წელს). ჩოხა ედებოდა მავთულებს და რომ ასე არ მომხდარიყო, დაამოკლეს. მერე შერჩა და ვისაც სხვა არა უნახვს, ამაზე შეჩერდა...

ჩოხა უნდა იყოს პაიჭის ქვემოთ, ერთი ხელის დადებით უგრძესი. თუ გშვენის, უფრო გრძელიც შეიძლება, ხოლო უფრო მოკლე არამც და არამც.

მაღალ კაცს, მაგალითად, მოკლე ჩოხა აუშნოებს ისე, როგორც ძალიან დაბალს გრძელი. თუმცა ესეც დამოკიდებულია ტანზე, საერთოდ მხარ-ბეჭზე, მკერდზე და სხვა. ჩოხის სიგრძე ძველად დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა წყობით მიდიოდნენ ომში. ბრძოლაში უსათუოდ მოკლე უნდა, მაგრამ სახლში მშვიდად რომ ბრძანდები, მაშინ როგორც დაგშვენდება, ისეთი უნდა ჩაიცვა. ესეც უნდა გვახსოვდეს, რომ ამას სხვა უფრო შეამჩნევს და ისიც შორიდან უფრო, ვიდრე ახლოს... ჩოხასა და ახალუხს შეხამება უნდა. შავ ჩოხას ყველა ფერის ახალუხი უხდება. შვინდისფერს — თეთრი, შავი, ლურჯი... ცისფერი ახალუხი შვენის წლის ფერს, თაგვისფერს, რუხს, ყავისფერს... შინდისფერიც სხვადასხვაგვარია: ღია, მუქი, ღვინისფერი... ერთი სიტყვით, შენ იცი როგორ შეახამებ, ჩოხას როგორ ახალუხს მოუძებნი. ეს კია, რომ აქ „ფუტურისტობა“ არ ივარგებს და ძალიან კარგს იზამენ თუ აქაც „ფუტურიზმს“ არ ჩაურთავენ.

* * *

ჩოხა-ახალუხი არსებობს ორნაირად ჩასაცმელი: სადა და სირმით გაწყობილი. აქ არის კიდევ ერთი კანონი: სირმიანი ჩოხა-ახალუხთან აუცილებლად წუღა-მესტიც უნდა იყოს სირმიანი.შარვალს უნდა უბეებში, ნაკერზე წვრილი, გრეხილი სირმა შემოევლოს და შიგნითაც სულ ძირამდე. გვერდებზე და ისიც ფართე სირმა ეს არის რუსული ლამპასების ბაძვა და ჩვენებური სტილი არ არის... ფართო სირმა ყაზახ-რუსების ფორმის ტანსაცმელია.



კოკი დადიანი



ბონდო მიქელაძე

საჯვრისწერო ჩოხას თეთრს და ფირუზისფერ ახალუხს შვენის ოქროს სირმა (ყვითელი). შავ ჩოხას ორთავე — თეთრიც და ყვითელიც. ოღონდა ახალუხსა და ჩოხას, ორთავეს — ერთი ფერისა უნდა ჰქონდეს. შარალი შეიძლება ყველა ფერის, გარდა თეთრისა. თეთრ შარვალში უშარვლო ეგონება ყველას. არის საერთო თარგი ჩვენებური შარვლისა, რომელიც დღესაც, სამეგრელოს სოფელში კიდევ ეცოდინება ვისმეს — მოხუცს...

გარდა სხვადასხვა ტყავეულის წუღა-მესტისა შეიძლება პიჯაკები მაუდის, შალის და სხვ... შამუხი, ანუ სამუხლე შეიძლება სხვადასხვა ფერის, როგორც დამშვენდება, როგორც შარვალს, ისე საცვეთს. სამუხლე შეიძლება სირმიანი იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში დანარჩენი ყველაფერი უნდა იყოს სადა.

* * *

ჩოხა-ახალუხს ერთი კანონი აქვს — ეს დაურღვეველი კანონი ის არის, რომ მასზე არაფერი ქალური — მეტად ნაზი არ უნდა იყოს. ყველაფერს ვაჟკაცური, მხედრული და მამაკაცური დაღი უნდა ესვას. თუ ამას არ გაითვალისწინებთ, დარღვეულია ყველაფერი: შინაარსი ამ მეტად ორიგინალური და ლამაზი ტანსაცმლისა და სტილიც სრულიად დაკარგულია...

იყო დრო, როდესაც ჩოხის მატარებელნი ხშირად ომში იყვნენ ანდა ყოველ შემთხვევაში ხშირად ცხენოსნობდნენ.

* * *

ყაბალახი შეიძლება ყველა ფერის, ხოლო სტილი არის თეთრი ჩაბალახი, ნამდვილი ჩერქეზული ჩაბალახი არის ძალიან სრული, ორთავე ბეჭზე უნდა გადმოდიოდეს თავისუფლად, წინ იმდენი უნდა იყოს, რომ გადაკეცვა არ სჭირდებოდეს და არც თვალზე გეფარებოდეს. ცოტა თვალზემოთ უნდა იყოს, ისე რომ როცა ცხენით მიდიხარ და წვიმს, პირქარი გირტყამს, თავდახრილს სახე დაფარული გქონდეს. ჩაბალახის ტოტები კი მოკლე და ვიწრო. შეიძლება სირმიანიც. კარგია ლამაზი, კარგი გრეხილით გაწყობილიც.

წელის იარაღი ბევრნაირია და ეს თქვენს გემოვნებაზეა დამოკიდებული, რომელი მოგეწონებათ, მაგრამ თეთრი ძვლის ან შეუღებავი თეთრის ღვედზე დაწყობილი სარტყელი არ გახლავთ სტილი. ესეც ოპერეტას მოგაგონებთ, ხოლო ქამრის ნაჭრები არ ვარგა, როცა ბევრია. ყველა ნაჭერს თავისი დანიშნულება აქვს...

* * *

**რატომ ვწერ ამ ყველაფერს?**

**ამას ვწერ მწარე ტკივილით... ეს დავწერე შიშით: ვაითუ, სამშობლოს მოშორებულებს დაავიწყდეთ-მეთქი ქართული ტანსაცმლის მნიშვნელობა და დანიშნულება. სამწუხაროდ, ამის ნიშნებს ვხედავ, მაწუხებს, რომ არათუ კულტი აღარ არის ამ ტანსაცმლისა (შეუდარებლის ვიტყვი, სამხედრო და საერო სამშვიდობო დროს...) ეს ძალზე მოხდენილი და ლამაზი ტანსაცმელი ვაითუ გადაგვარდეს. და აღარავინ იცოდეს. ვინ იცის, მაშინ იქნებ ჩემი ხელნაწერი გამოადგეს ვისმეს... მაგრამ გულის კუნჭულში სადღაც მაინც ღვივის ნაპერწკალი იმედისა, რომ ერი, რომელსაც ათასი წლები ტანჯვით და ვაებით გაუვლია, კიდევ შეძლებს ძველი დიდების აღდგენას, არა თუ თავისი საკუთარი არსებობის შენარჩუნებას.**

**ამ იმედით ჩავდივარ საფლავში...**





ალექსანდრე და გიორგი შარვაშიძეები

# დეტალები „ავტოპორტრეტისთვის“

იგი „სამყაროს დიდ სიჩუმეზე“ მიგვანიშნებდა. თვლიდა, რომ სიტყვით გამოუთქმელია ხელოვნების არსი (ფერწერაც, მუსიკაც, თვით პოეზიაც) და შეიძლება ითქვას, მთელი ცხოვრება მიუძღვნა იმას, რომ გამოეხატა რა არის „სინათლით ამეტყველებული სიჩუმე“, „მარადიულის გამოვლენა სიჩუმეში“ და „კონკრეტულ ადამიანურ ფორმაში გამოვლენილი გამონათება“...

სიცოცხლის ბოლოს ის ვეღარ ხატავდა, ვეღარც წერდა... და თემო ჯაფარიძის უმძიმესი ყოფა დაძაბული ფიქრის (თუ ფიქრების) უჩვეულო სამყაროდ იქცა. ამგვარი ბედისწერა მან ბუნებრივად და უდრტვინველად მიიღო, რაღაც რკინისებური ლოგიკით გამართლებაც კი მოუძებნა...

უკანასკნელი, ერთადერთი ვრცელი ინტერვიუ ჩვენი დროების დიდ მხატვართან და მოაზროვნესთან **თემო ჯაფარიძესთან** რეჟისორმა **ზვიად მიქელაძემ** ჩაიწერა საპატრიარქოს ტელევიზიის პროგრამისთვის **„დროის ჩანაწერები“.**

ახლა, როცა მხატვარი ჩვენს შორის აღარ არის (27 სექტემბერს იგი დიდუბის პანთეონში დაკრძალეს) ალბათ, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მისით და მასთან შეხვედრებით აღძრული შთაბეჭდილებების გადმოცემა თუ გაზიარება. „კვირაძალს საკითხავში“ რეჟისორი **ზვიად მიქელაძე** მოვიწვიეთ და რამდენიმე კითხვა დავუსვით.



თემო ჯაფარიძე რეჟისორ ზვიად მიქელაძესთან და ასისტენტ ეკა ბარდანაშვილთან ერთად.

**– როგორც ვიცით, ქართულ სატელევიზიო სივრცეში ასეთი ვრცელი ინტერვიუ მხატვართან, მწერალთან, პოეტთან, ესეისტთან თემო ჯაფარიძესთან არასდროს შემდგარა. ეს მხატვარი თავისი მრავალმხრივობით და მასშტაბებით რენესანსული ეპოქის შემოქმედთ შეიძლება შევადაროთ და მაინც, ის ჩვენი დროების შვილი იყო, მიმღები თუ არმიმღები იმ გარემოსი, რომელშიც ცხოვრობდა და რომელსაც თავისი დიდი სათქმელი დაუტოვა. ამ სათქმელის ნაწილი მან საკუთარ სიტყვიერ „ავტოპორტრეტშიც“, თქვენთან ინტერვიუშიც გაგვიზიარა. შეგიძლიათ გვითხრათ, ამ ფრაზების მიღმა როგორ განხორციელდა თქვენი შეხვედრა.**

– მე მასზე ძალიან შორეული წარმოდგენა მქონდა. შეიძლება ითქვას, მიჭირდა ამ ხელოვანის კონკრეტული აღქმა. არ მინახავს მისი პერსონალური გამოფენები, არც მისი გამოსვლები თუ საუბრები მომისმენია. ერთ დღესაც ვნახე ალბომი, 2011 წელს გამოცემული, რომელშიც მისი სხვადასხვა პერიოდის ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. ამ სხვადასხვაობაში რაღაც ერთი დიდი მთლიანობა დავინახე. წავიკითხე მისი წერილებიც მხატვრობაზე. უაღრესად საინტერესო მეჩვენა თემო ჯაფარიძის ესეისტიკა და შემდგომ მისი, როგორც პოეტის გაცნობაც მომიხდა და, რაც მთავარია, მისი ნამუშევრების ორიგინალებიც ვნახე... გადავწყვიტე **„დროის ჩანაწერების“** ფორმატში გამეკეთებინა ბატონი თემოს – გამორჩეული ხელოვანის და პიროვნების ავტოპორტრეტი.

შემდეგ ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ იგი ფიზიკურად ძალიან სუსტად იყო. არავის იღებდა და ძალიან მცირე იმედი მქონდა, რომ ინტერვიუზე დამთანხმდებოდა, მაგრამ ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა ძალიან მინდა, რომ რაღაც გაკეთდეს, ყოველთვის ყველაზე არაფრისმთქმელ, ფორმალურ შესაძლებლობასაც არ ვუშვებ, რომ ვეცადო მაინც... ასეთი განწყობილებით დავურეკე ბატონ თემოს. ეს იყო 2011 წლის დეკემბრის შუა რიცხვები. ყურმილი დამ – ქალბატონმა **დალი ჯაფარიძემ** აიღო და მას გადასცა. ეს სატელეფონო საუბარი სულ სამიოდე წუთს გაგრძელდა და სრულიად მოულოდნელად ბატონმა თემომ გამოხატა სურვილი და შეიძლება ითქვას, ინტერესიც, რომ ინტერვიუ ჩაგვეწერა. ხმაზე შევატყვე, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო მართლაც ძალიან სუსტად იყო. ასევე გაჭიანურებული, ფრაზებს შორის პაუზებით შევამჩნიე, რომ მისთვისაც მოულოდნელი იყო ჩემი შეთავაზება. პირველ ფრაზებში რაღაც უნდობლობისმაგვარიც ვიგრძენი (ვინ არის, რა უნდა?..). მე კი იმდენად გულწრფელად, მაგრამ შესაძლებელია არა ზუსტი სიტყვებით ვუხსნიდი ამ ინტერვიუს მნიშვნელოვანებას, რომ მის ხმაში უკვე კეთილგანწყობა ვიგრძენი და დღემდე მჯერა, რომ ეს ნდობა მისი მხრიდან მხოლოდ იმას დაეფუძნა, რომ გულით მინდოდა ეს საუბარი შემდგარიყო.



**– როგორი იყო თქვენი პირველი შთაბეჭდილება უკვე შეხვედრისას?**

– როცა მივედი, ქალბატონი დალი დამხვდა და მომიწია დაახლოებით 10-წუთიანი ლოდინი ბატონი თემოს შემოსვლამდე. ვიგრძენი, რომ გაუჭირდა ფეხზე წამოდგომა. იყო დეკემბერი და ოთახში ძალიან თბილოდა, მაგრამ ბატონ თემოს ეცვა უჩვეულოდ ბევრი ტანსაცმელი... ნელი ნაბიჯით მომიახლოვდა, ხელი ჩამომართვა. ის იყო ძალიან გამხდარი. ძალიან, ძალიან გამხდარი ხელი ჰქონდა. აშკარად დასუსტებული ხელი იყო. ხელი მოძრაობის ბუნებრივ პლასტიკას იყო გადაჩვეული.

ნახევარ საათამდე ვისაუბრეთ. შევთანხმდით, ჯერ სახელოსნო გადამეღო დადიანის ქუჩაზე, მერე კი მასთან (ამ შემთხვევაში ქალბატონ დალის სახლში, ნუცუბიძეზე) ამეღო ინტერვიუ. საუბარში მისი მხრიდან იგრძნობოდა ინტერესი და იმავდროეულად დიდი დისტანცია. ვფიქრობდი, რომ მაკვირდებოდა და ვცდილობდი, ლაკონური ვყოფილიყავი. მქონდა ისეთი შეგრძნება, რომ მას შეეძლო მოულოდნელად უარიც ეთქვა... მაგრამ თანდათანობით მივხვდი, რომ ბატონ თემოს ჰქონდა საუბრის ძალიან დიდი მოთხოვნილება. თანდათანობით მის თვალებში ახალი ღიმილიანი სხივი გამოჩნდა და სურვილიც გამოიკვეთა, რომ მას რაღაცის თქმა უნდა.

*„სიყვარული ადამიანურყოფილი სინათლეა. ეს ფიგურული გამოთქმა არაა. ეს უფრო დოკუმენტური უბრალოების მქონე აზრია. როგორც სიყვარული ცხადყოფს შინაგანად ყოველივეს, რისკენაც მიმართულია, ისე სინათლე ცხადყოფს ყოველივეს, რასაც მიეფინება. სიყვარული ადამიანის უმაღლესი იდეური სიცხადეა. სიყვარული აიძულებს ადამიანს იმოქმედოს სულიერად. ფერწერა ერთ-ერთი სულიერი მოქმედებაა“.*

*„ნახატი იგივე ადამიანია, რომელმაც არახორციელი გამოსახულების სახე მიიღო და სიყვარულს ასხივებს. ნახატის მეტყველება თავისებური ენაა, რომლის წაკითხვასაც ისევე უნდა შესწავლა, როგორც ადამიანის ლაპარაკში ტყუილისა და სიმართლის დადგენას სჭირდება შინაგანი სიფაქიზის გამოწრთობა. როცა ოთახში ნახატს კიდებენ, ოთახის სინათლე გადასხვაფერდება, თითქოს მასში სხვა სინათლეც შეიტანეს. როცა ოთახიდან ნახატი მიდის, ისეთი სიცარიელე დაისადგურებს, თითქოს ადამიანი გავიდა ოთახიდან“...*

*თემო ჯაფარიძე*

**– არსობრივად რისი თქმა?**

– ძნელი სათქმელია, რისი თქმა სურდა. მე შემიძლია მხოლოდ და მხოლოდ ვთქვა, რომ მას ჰქონდა საუბრის მოთხოვნილება და თუ რის თქმას აპირებდა, ვფიქრობ, ჩვენს სატელევიზიო სიუჟეტში ნაწილობრივ მაინც გამოიხატა.

მომეჩვენა, მაშინ და მერეც, სურდა გაეგო, რომ ის მრავალწლიანი ვაკუუმი თუ გარიყულობა, რასაც მან თავისივე სურვილით მიაღწია, როგორ აჟღერდებოდა უცხო ადამიანის წინაშე. მისთვის საკმაოდ მოულოდნელი იყო, რომ ამ მარტოობაში დაუძლურებულს, ვიღაც უცხო ეხმიანება და დაჟინებით სთხოვს ინტერვიუს. შეიძლება სწორედ იმ დროს დავუკავშირდი, როცა ის ამ შეთავაზებისთვის შინაგანად მზად იყო და თავის სრულ გარიყულობაში მან მოულოდნელად გააღო კარი.

**– სხვა დროს რომ მისულიყავით?**

– სხვა დროს რომ მივსულიყავი, უფრო ადრე ან გვიან, ძნელი სათქმელია, რა მოხდებოდა. ფაქტია, რომ ბოლო წლებში ბატონი თემოს ჯანმრთელობა უარესდებოდა. მუდმივი ოპერაციები, საავადმყოფოები... მას შეეძლო ანალოგიურ შეთავაზებაზე უარი ეთქვა, ერთი მხრივ, ამ ობიექტური მიზეზის გამო. მეორე მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ის, რომ როგორც ხელოვანი მუშაობდა, განუწყვეტლივ და დაძაბულად და, სავარაუდოა, ვერ განეწყობოდა უცნობებთან ვრცელი საუბრებისთვის. ინტერვიუ ჩვენ ჩავწერეთ სწორედ იმ დროს, როცა მას ხატვა აღარ შეეძლო. როგორც თავად თქვა, ხატვით ვეღარ ხატავს, მაგრამ „ფიქრი ხომ არის“... ამ სიტყვების წარმოთქმისას მან შუბლზე მიანიშნა ხელით.

ფაქტობრივად, მას შემდეგ, რაც ვეღარ ხატავდა, განსაკუთრებით ორი-სამი წელი და ბოლოს ვეღარც წერდა, იძულებული იყო, როგორც მოაზროვნე ადამიანს მხოლოდ ეფიქრა განუწყვეტლივ... იქნებ მოთხოვნილებაც სწორედ ამიტომ გაუჩნდა, რომ ეს ფიქრები სიტყვებით გადმოეცა.

ცნობილია ბატონ თემოს საკუთარ ხელოვნებაზე კამერებთან არასოდეს უსაუბრია. იქნებ ერთ დღეს მან დაუშვა, რომ შემოქმედებითი პროცესი დაასრულა და დარჩა მხოლოდ ფიქრის უნარი. „შეიძლება ეს პერიოდია ყველაზე უფრო სწორი, რომ არაფერი აკეთო. იქნებ რამის კეთება პატივმოყვარეობაა?.. ამას ისე ვამბობ ახლა...“ – ღიმილნარევი სევდით გვითხრა ბატონმა თემომ.

**– მშვენიერია ამ აზრის პარადოქსულობა... ინტერვიუ შედგა და ეს არ იქნებოდა იოლი.**

– თემო ჯაფარიძეს სულ ოთხჯერ შევხვდი და შემიძლია მხოლოდ ჩემი გადასახედიდან შევაფასო ეს ყველაფერი. რადგან უპირველესად ჩემთვის მაინტერესებდა შევძლებდი თუ არა ასეთ ადამიანთან კონტაქტში შესვლას. კონტაქტი გულისხმობს ორივე მხრიდან გაგებას იმისას, თუ რას ემსახურება ეს შეხვედრა. რამდენად შეძლებდა ის, რომ ჩემს წინაშე ხმამაღლა ეფიქრა. ვცდილობდი ყველა ნიუანსი დამეჭირა. მივხვდი, რომ მან დააფასა ეს დამოკიდებულება: როცა მასთან მიდის ადამიანი არა როგორც საზოგადოებისთვის ცნობილ პერსონასთან – თემო ჯაფარიძესთან, არამედ ცდილობს პირადი დაკვირვებებით თავისთვის აღმოაჩინოს. მან მომცა შესაძლებლობა და გზა, რომ მე იგი ჩემთვის აღმომეჩინა. სხვა დამოკიდებულება, ალბათ, მისთვის, გარკვეულ პიედესტალზე მყოფი ადამიანისთვის, ნაკლებად საინტერესო იქნებოდა. მან თითქოს მომცა იმის უფლება, რომ შევხებოდი მისი ფიქრების, შეიძლება ითქვას, ძნელად მისაწვდომ მხარეებს.

**– სამწუხაროა, რომ ეს მხატვრის უკანასკნელი ინტერვიუ აღმოჩნდა...**

– მე შევესწარი ბატონი თემოს ბოლო გაბრძოლებას... ჩვენი საუბრის შემდეგ ორ კვირაში შევხვდი, სანამ გადაცემა გავიდოდა ეთერში. ლოგინში იწვა. ხოლო მას შემდეგ, რაც გადაცემა ეთერში გავიდა, ცოტა ხანში შეგვატყობინეს, რომ ბატონმა თემომ ხატვა გააგრძელა. ეს იყო ძალიან დიდი მოულოდნელობა, რადგან იგი თავად გამორიცხავდა ამგვარ შესაძლებლობას. ცხადია, გადაცემამაც შეასრულა თავისი გარკვეული მისია: სამუდამოდ დაგვრჩა ამ დიდი ხელოვანის და პიროვნების ფირზე აღბეჭდილი საუბარი. გარდა ამისა, სავარაუდოა, რომ ეს ტელეგადაცემა - „ავტოპორტრეტი“ გახდა მისთვის ერთგვარი ბიძგი. ხატვის სურვილმა გაიღვიძა იმ დონეზე, რომ ავადმყოფობას მოერია. მაშინ შეიქმნა მისი უკანასკნელი ნახატები...

**– თქვენ ბატონი თემოს „გარიყულობა“ ახსენეთ.**

– გარიყულობაც არის და გარიყულობაც. ეს მხოლოდ ურთიერთობებში არ გამოიხატება. ერთვის ისიც, როცა ადამიანი ფიზიკურადაა დაუძლურებული, ის იძულებითაა გარიყული თავისი პროფესიისგან და ცხოვრებისგან. გარემო გაუცხოებულია მისთვის და მისგანაც. ის თითქოს დავიწყებულია, მაგრამ მისი დაძაბული ფიქრი არაფერს ივიწყებს და გარემოს ფხიზლად და თანაგრძობით აკვირდება. . . მაგრამ ის არსებობს მხოლოდ ფიქრში და არა რეალურ ცხოვრებაში.



თემო ჯაფარიძე ბოლო წლებში სოლოლაკის უბნიდან იძულებით წასული, ნუცუბიძის ერთ-ერთი მრავალსართულიანი სახლის მე-17 სართულზე ცხოვრობდა საკუთარ დასთან. იქიდან, ერთი პატარა ოთახის სივრციდან გადაჰყურებდა მის გარეთ არსებულ ნაცრისფერ სამყაროს. მე მისთვის ამ სამყაროდან მოსული ვიყავი და, ალბათ, უკვირდა კიდეც ჩემი ვიზიტის დანიშნულება. ეს მოხდა მაშინ, როცა ერთგვარად იგი უკვე გამომშვიდობებული იყო ამ სამყაროსთან და ნაცრისფერ დროსთან. მის ამგვარ განწყობილებებს ვგრძნობდი მისი მზერითაც, ქვეტექსტებითაც. . . სიცოცხლის ბოლო ხანებშიც კი, უმძიმესი ავადმყოფობების ჟამს, ბატონი თემოს ფიქრებმა, აზროვნებამ ელასტიკურობა არ დაკარგა. გარიყულობა, ერთი მხრივ, საინტერესოცაა, როცა სამყარო და ხელოვანი ერთმანეთისგან არიან გარიყულნი, როცა ხელოვანი თავად იქცევა ახალ სამყაროდ. პიროვნების განსაკუთრებულობა ავლებს უდიდეს ზღვარს მასსა და თანამედროვე დროს შორის.

ვფიქრობ, იგი განაწყო იმან, რომ მე მასში დავინახე ის, რაც უნდოდა, რომ მასში უცხო ადამიანს დაენახა და ეგრძნო.

ესაუბრა
**მარი თუხარელი**

ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა პერსპექტივები საქართველოს ახალი მთავრობის დროს

პარლამენტის არჩევნებში გამარჯვებულ კოალიცია „ქართული ოცნებაში“ ამ ეტაპზე არ განიხილება რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის საკითხი. ამის შესახებ ჟურნალისტებს განუცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა მაია ფანჯიკიძემ.

„საუბარი დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე ქვეყანასთან, რომელმაც საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი დაიპყრო, ჯერჯერობით შეუძლებელია, და ჩვენ ამ საკითხს არ განვიხილავთ“, — განაცხადა ფანჯიკიძემ 10 ოქტომბერს.

უფრო ადრე, ტელეარხ „მაესტროსთან“ ინტერვიუში ფანჯიკიძემ აღნიშნა, რომ „ჯერჯერობით რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების რეცეპტი არ არსებობს“ და რომ მიმდინარე ეტაპზე, ალბათ, საუბარი იქნება რუსეთ-საქართველოს კულტურული და ეკონომიკური კავშირების აღდგენაზე. ამავე დროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მომავალი ხელმძღვანელის სიტყვებით, მართალია, საქართველო ღიაა მოლაპარაკებისთვის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა კომპრომისზე არ წავა. „არანაირი დათმობა არ იქნება, ქართული მიწის არც ერთ მტკაველს არ დავთმობთ“, — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

ამავე დროს საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრის პოსტის კანდიდატმა პაატა ზაქარეიშვილმა გააკეთა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მას განზრახული აქვს შეიტანოს პარლამენტში ინიციატივა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის ზოგიერთი პუნქტის „გადასინჯვის“ შესახებ (კანონი მიიღო წინა პარლამენტმა 2008 წელსძ, ამავე დროს, ზაქარეიშვილის სიტყვებით, თავად კანონი ძალაში დარჩება.




„კანონი უნდა არსებობდეს, მაგრამ სანქციები მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ, ვინაიდან ჩვენ მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი მოსახლეობის, ტვირთებისა და უცხოელების გადაადგილებას კონფლიქტის ზონებში... ზოგიერთი ორგანიზაცია აცხადებდა, რომ ეს კანონი ზღუდავს მათ გადაადგილებას. ეს ზღუდავს, მაგალითად, გალში მცხოვრები გლეხების გადაადგილებას, რომლებიც გადადიან ზუგდიდში და იქ ჰყიდიან თხილს — ამით ისინი არღვევენ კანონს. მთლიანად ამ კანონში ბევრი არასამართლიანი პოზიციაა“, — აღნიშნა ზაქარეიშვილმა 8 ოქტომბერს.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყება არაერთგზის გამოსულა ამ კანონის კრიტიკით. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებდა რუსეთის მოქალაქეებს, თავი შეიკავონ საქართველოში გამგზავრებაზე „უშიშროების არარსებობის“ გამო. ამას იგი ასაბუთებდა იმით, რომ საქართველოში „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის მოქმედების გამო ისინი საქართველოში ჩასვლით ხდებიან სისხლის სამართლის დამნაშავეები სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო.

შეგახსენებთ, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება — ამ დროს საქართველო არ შეიცვლის კურსს, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის ინტეგრაციას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. სააკაშვილის პარტიის წარმომადგენლები არაერთგზის აყენებდნენ კითხვის ნიშნის ქვეშ ამ მტკიცებას, აცხადებდნენ, რომ ამგვარი სცენარი შეუძლებელია რუსეთის სტრატეგიული მიზნების შეუსაბამობის გამო, რაც მიმართულია ნატოს გაფართოების წინააღმდეგ აღმოსავლეთისკენ.

### „ილუზორული ოცნება“

თავის მხრივ, რუსეთის საგარეო სამინისტროს ხელმძღვანელი სერგეი ლავროვი აცხადებდა, რომ რუსეთს არ აქვს განზრახული წავიდეს რაიმე კომპრომისზე აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის საკითხთან დაკავშირებით.

„რაიმე მოლაპარაკებას აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ბედის შესახებ ჩვენ საქართველოსთან, ისევე როგორც რომელიმე სხვა ქვეყანასთან, არ ვაწარმოებთ, ვინაიდან ამ რესპუბლიკების ბედი გადაწყდა მათი ხალხების მიერ, რომლებმაც გამოთქვეს თავიანთი დამოუკიდებლობის შესახებ... რუსეთმა განსაზღვრა თავისი პოზიცია, აღიარა მათი დამოუკიდებლობა, ვინაიდან 2008 წლის აგვისტოს ბოლოს ცხადი გახდა, რომ ეს არის ერთადერთი გზა, რომელიც უზრუნველყოფს სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის უსაფრთხოებას, შეიძლება ამ ორი ქვეყნის ხალხთა გადარჩენასაც“, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა 9 ოქტომბერს. „ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ახალი ხელისუფლება საქართველოში, როდესაც იგი ჩამოყალიბდება, განახორციელებს ურთიერთობათა ნორმალიზაციის ხაზს ყველა მეზობელთან, მათ შორის, რუსეთთან, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან“, — განმარტა ლავროვმა.

ცხინვალმა და სოხუმმაც კომენტარები გააკეთეს საქართველოსთან ურთიერთობის პერსპექტივაზე ივანიშვილის მთავრობის დროს და განაცხადეს, რომ მზად არიან მოლაპარაკებისთვის თანაბარ პირობებში.

„ვითანამშრომლებთ თუ არა საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ პოლიტიკას ააგებს იგი. ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ საქართველომ აღიაროს სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა“, — განაცხადა მოსკოვში სამხრეთი ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით სანაკოევმა 9 ოქტომბერს.

„ჩვენ ვისაუბრებთ მათთან, ვინც მოვიდა და მოვა ხელისუფლებაში მხოლოდ თანაბარ პირობებში. თუ ქართული ოცნება არის ის, რომ დაიბრუნოს აფხაზეთი — ეს ილუზიური ოცნებაა. თუ ოცნება არის მშვიდობიანი ხელშეკრულებისთვის ხელმოწერა — მაშინ შეიძლება ამის განხილვა. ჩვენ ვცხოვრობთ კონსტიტუციის შესაბამისად, რომელშიც ჩაწერილია, რომ აფხაზეთი არის დემოკრატიული დამოუკიდებელი სახელმწიფო და არაფერი არ ექვემდებარება რევიზიას, რაც ჩვენს ქვეყანას, მის მომავალს შეეხება. ეს არის არა მხოლოდ აფხაზეთის პოლიტიკური ხელმძღვანელების აზრი, ეს არის ყველა ჩვენი მოქალაქის აზრიც“, — განაცხადა აფხაზეთის ლიდერმა ალექსანდრე ანქვაბმა 8 ოქტომბერს.

აღსანიშნავია, რომ კავკასიაში უშიშროებისა და სტაბილურობის მოლაპარაკების მორიგი რაუნდი გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს, ამერიკის შეერთებული შტატების, საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართება ჟენევაში ოქტომბერში.

### „რთული და ხანგრძლივი პროცესი“

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებათა საერთაშორისო ცენტრში კონფლიქტების თავიდან აცილების პროგრამის ხელმძღვანელს თინა ღოღელიანს მიაჩნია, რომ ივანიშვილის კოალიციის რიტორიკა ამ ეტაპზე გულისხმობს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციას და არა ყველა პრობლემის გადაწყვეტას, მათ შორის, მოსკოვის მიერ ქართული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების ჩათვლით. „ჩემი აზრით, ამ ეტაპზე, რუსეთთან ყოველგვარი კავშირურთიერთობის არარსებობის პირობებში, რეალურია სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობათა აღდგენა. სოხუმთან და ცხინვალთან არსებული პრობლემების გადაწყვეტა — ეს არის შემდგომი ეტაპი და იგი, როგორც ჩანს, მალე არ დადგება“, — განუცხადა ღოღელიანმა „ამერიკის ხმას“ თავის ინტერვიუში.

რაც შეეხება „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის ზოგიერთი მუხლის გადასინჯვის შესაძლებლობას, ამას, ექსპერტის აზრით, არ ექნება ხელშესახები ეფექტი ცხინვალთან და სოხუმთან საკვანძო აზრთა სხვადასხვაობის გადაწყვეტისთვის.

თინა ღოღელიანი აღიარებს, რომ რუსეთის ხელმძღვანელობას ჰქონდა პირადი მტრობა სააკაშვილთან, მაგრამ ამავე დროს მიაჩნია, რომ ხელისუფლების შეცვლა საქართველოში გავლენას არ იქონიებს რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებზე, რომლებიც, გულისხმობენ სამხრეთ კავკასიაში გავლენის შენარჩუნებას, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზეც.

რაც შეეხება ივანიშვილის გეგმებს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციასთან დაკავშირებით, ექსპერტს მიაჩნია, რომ გარღვევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა შეძლებს დაარწმუნოს მოსკოვი: საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფება არ გულისხმობს საფრთხეს რუსეთისთვის. „ეს იქნება მეტად რთული, ვინაიდან მოსკოვს აქვს აბსოლუტურად მყარი პოზიცია ამ საკითხში, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია ივანიშვილის გუნდის დიპლომატიურ ჩვევებზე, თუმცა, ზუსტად შეიძლება ითქვას, რომ პროცესი იქნება ძალიან რთული და ხანგრძლივი“, — განაცხადა ღოღელიანმა დასასრულს.

VOA NEWS Голос Америки

## დედამიწის ზურგზე



**სამყაროში აღმოაჩინეს ალმასი, რომელიც დედამიწაზე ორჯერ დიდია**

აღმოჩენილი კლდოვანი პლანეტა ბრუნავს ვარსკვლავის გარშემო, რომელიც ჩვენს მზეს ჰგავს. იგი უფრო დიდია დედამიწაზე არა მხოლოდ მოცულობით, არამედ „ძვირფასი“ ქიმიური შემადგენლობებითაც — პლანეტის ერთი მესამედი ალმასებისგან შედგება. პლანეტაზე არ არის წყალი, ტემპერატურა კი ზედაპირზე 1648 გრადუსს აღწევს.

* * *

**ოსლოში დაასახელეს ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი**




წელს ეს პრესტიჟული ჯილდო ერგო ამჟამად ერთ-ერთ რთულ მდგომარეობაში მყოფ ევროკავშირს. სულ სიაში იყო 231 პრეტენდენტი, როგორც კონკრეტული პირები, ისე ორგანიზაციები, თანაც ბევრი კანდიდატი წარმოადგინეს სსრ კავშირის ყოფილმა რესპუბლიკებმა.

* * *

**მეცნიერები გააოცა მარსის ქანების პირველმა ნიმუშებმა, რომლებიც დედამიწას გადმოსცა აპარატმა „კურიოსიტიმ“**



სპეციალისტების სიტყვებით, ქვა აღმოჩნდა მდიდარი ტუტიანი ლითონებით. მისი შემადგენლობა მოგვაგონებს მოზაიკას ცალკეული მინერალებისგან და მასში უხვადაა თუთია, ქლორი და ბრომი. ჯერჯერობით მეცნიერებს არ შეუძლიათ ზუსტად განსაზღვრონ ქვის ასაკი, მაგრამ აღნიშნავენ, რომ ის ჰგავს ჰავაის ვულკანურ ქანებს.

* * *

**ბრიტანელმა მეცნიერებმა გამოარკვიეს ყველაზე საზიზღარი ხმა მსოფლიოში**

მკვლევარებმა აგრეთვე შეძლეს გამოერკვიათ, თუ კერძოდ, რა გავლენას ახდენენ არასასიამოვნო ხმები ადამიანის ემოციებზე, რაც ძალიან ხშირად ნეგატიურ რეაქციებს იწვევს. ეს ახალი ცოდნა დაგვეხმარება სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობაში, რომლებიც დაკავშირებულია ხმებისა და ხმაურის აუტანლობასთან, და აგრეთვე დღეს მეტად გავრცელებულ მუდმივი ხმაურის შეგრძნებასთან ყურებში, დარწმუნებული არიან მეცნიერები.



**დღესასწაული**

## სვეტიცხოვლობა

**14 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს საუფლოისა კვართისა და ღვთაებრივ ბრწყინვალე დღეს მირონმდინარე სვეტისას, ასევე — მცხეთობა-სვეტიცხოვლობას, საფარველსა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, მოციქულთა სწორისა — მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანასი, წმინდა სიდონიასი და აბიათარ მღვდელისა, ურიაყოფილისა, საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქისა, სვეტიცხოვლის განმაახლებლისა, წმინდისა მელქისედექ პირველისა.**

საქართველოში არსებულ სიწმინდეთა შორის ყველაზე დიდი სვეტიცხოვლის ტაძარია. IV საუკუნეში აქ, ამ მადლმოსილ ადგილას ხის ეკლესია აუგიათ. მისი მშენებლობისას ერთი სვეტი თურმე ვერაფრით ჩაასვეს მიწაში, წმიდა ნინოს ლოცვით ანგელოზმა ზეცად აიტაცა სვეტი, მერე კი ის, ღვთაებრივი ნათლით შემოსილი ნელ-ნელა დაეშვა დაბლა და ზუსტად იმ ადგილას გაჩერდა, სადაც უფლის კვართია დაფლული. მის გარშემო აიგო სვეტიცხოვლის ტაძარი.

ცნობილია, რომ წმინდა ნინოს ქადაგებას და მეფე მირიანის მოქცევას თავისებური პრეისტორია უძღვის წინ: მცხეთელ ებრაელს, ელიოზს, რომელიც ქრისტეს ჯვარცმაზე დასასწრებად გაემგზავრა იერუსალიმს, ქრისტეს სამოსელის გაყოფისას წილად ხვდა კვართი.

მცხეთაში დაბრუნებულ ელიოზს შეეგება მისი და სიდონია. მან კვართი გულში ჩაიკრა და მაშინვე სული განუტევა. სიდონია კვართით ხელში სამეფო ბაღში დაუკრძალავთ.

მოგვიანებით სიდონიას საფლავზე ლიბანის კედარი ამოსულა. სწორედ აქ გადაწყვიტა მეფე მირიანმა ტაძრის აგება. ამ მეშვიდე სვეტის, რომელიც ჰაერში გაჩერდა, თაყვანისსაცემად მიდიოდა უამრავი ხალხი, ავადმყოფები იკურნებოდნენ... სვეტი სიცოცხლეს ანიჭებდა და ტაძარსაც სვეტიცხოველი ეწოდა.

სვეტიცხოვლობასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ საზეიმო წირვა-ლოცვას აღავლენენ მსახურნი იმ დიდ ტაძარში, სადაც გასული წლის გაზაფხულზე მირონი მოიხარშა, სადაც ერთ-ერთ კედელზე სასწაულმოქმედი ნიკოლოზის ხატი გამოისახა, სადაც საქართველოს გაბრწყინებაა გაცხადებული...

**სრულიად საქართველოს შეეწიოს სვეტიცხოვლობის მადლი!**

**გიული ლიპარტია**



# მცხეთობა

მცხეთობა საქართველოს ერთიანობის ზეიმია, სიმღერა, საგალობელი. მცხეთობა ჩვენი მომავალი თაობის გმირული სულის დამამკვიდრებელია, ქართველთა სიმტკიცის სიმბოლო, მისი მთლიანობის დუღაბი, ქვითკირივით გასალკლდევებული, შემტკიცებული.

საუკუნეებმა გამოსცადა მისი ძალა და ყოვლისშემძლეობა; იგი იმათ ნაანდერძევია, ვისაც საქართველო უყვარდა და მისი კეთილდღეობისთვის იბრძოდა. ფარნავაზმა და ქუჯიმ დაგვანახეს თუ რა ძალა აქვს ძმობას, ურთიერთპატივისცემას, გვერდში დგომას. ქვეყნის ისტორიის გარიჟრაჟზე დაგვმოძღვრეს, რომ ერთია ამერ-იმერი, ლიხს იქითა და აქეთა, ერთი გვყავს მტერი და მოყვარე, ერთ ემბაზში ვართ მონათლულნი და არავითარი უფლება არა გვაქვს სხვაგვარად ვიფიქროთ, სხვაგვარად მოვიქცეთ, სხვანაირად გავისარჯოთ.

მცხეთობას ჯერ კიდევ ქრისტიანობის მიღებამდე ზეიმობდნენ ჩვენი წინაპრები, მცხეთაში იდგა არმაზის, გაცის, გაიმის, ნანას, დანანას, ზადენის კერპები. მცხეთის ემბაზში განინათლნენ პირველი ქრისტიანი ქართველები, სვეტიცხოველშია დამარხული სიდონია, რომელსაც ქრისტეს კვართი აქვს გულში ჩახუტებული. წამებული ევსტათი მცხეთელი ასე ევედრებოდა მამაზეციერს: „ვითხოვ შენი სახიერებისაგან, რათა არ დაეტიოს გვამი ჩემი ტფილისსა შინა, არამედ რათა დაემარხოს იგი მცხეთასა წმინდასა“.

მცხეთა ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე მოიხსენიება ძველ თქმულებებსა და ლეგენდებში, იგი ანტიკურ პერიოდში უპირველესი ქალაქი იყო კავკასიაში, მის შესახებ წერდნენ ძველი ბერძნები, რომაელები, ეგვიპტელები, არაბი ისტორიკოსები და მოგზაურნი: სტრაბონი, პლუტარქოსი, არიანე, სეკუნდოსი, აპიანე, დონ კასიუსი, პტოლემეოსი და სხვები: „მართლაც იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული, ქალაქებითაც და დაბებითაც. ასე რომ, იქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები — ხუროთმოძღვრული წესით აგებული, ბაზრები და სხვა საზოგადო დაწესებულებანი“ — სტრაბონი (ძვ. წ. 64 წძ.

იქ იყო მამა-პაპათა უპირველესი სალოცავი. მცხეთაში შეიქმნა პირველი ქართული სახელმწიფო, მცხეთიდან გაბრწყინდა — განივრცო ენა ქართული, აქ მიიღეს პირველად ქრისტიანული რწმენა, აქ ჩაეყარა საფუძველი ქართულ მწიგნობრობას, იწერებოდა ეპიგრაფიკული წიგნები, ბილინგვები, ეტრატები და გუჯრები. მცხეთელი იყო პეტრე იბერი (411-491 წ.ძ, გამოჩენილი თეოლოგი და ფილოსოფოსი, ქვეყნად სიკეთის მქადაგებელი. მან ააშენა იერუსალიმში ქართველთა მონასტერი და შექმნა სკოლა.

დაუვიწყარია საქართველოში ასურელ მამათა სახელი, წიგნები, ხელნაწერები, ტაძრის კედლებში მოთავსებულ სამალავ ოთახებში, სხვა ძვირფასეულობასთან ერთად ინახებოდა. ლანგ თემურმა მეორე შემოსევის დროს გაძარცვა და ოქროულობასთან ერთად გაიტაცა, რუსეთის იმპერიამ 1811 წელს გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, მიიტაცა 26 ეკლესია, 3 მონასტერი და დახურა 800 ქართული ეკლესია. ამ ეკლესიებში წმინდა საეკლესიო ნივთები, ჯვრები, ხატები (ოქრო-ვერცხლით, ბრილიანტით და ლალით მოკაზმულიძ სულ ოთხას მილიონ ოქროს მანეთად ღირებული, გაიტაცეს საქართველოდან“ (ნ. დურნოვიძ. იმ პერიოდისთვის სვეტიცხოველი 7 ათასამდე წიგნს ითვლიდა.

მცხეთას უმღეროდნენ და უმღერიან მგოსნები, მწერლები, პოეტები: სიმონ გუგუნავა, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და სხვ. უკვდავ სვეტიცხოველზე ამღერებული „დიდოსტატის მარჯვენა“ დაუტოვა თაობებს კონსტანტინე გამსახურდიამ, იბერიის დედაქალაქს დაჰხაროდა გალაკტიონ ტაბიძის ნაზი ლირიკა, სვეტიცხოველს უგალობდა ქართული პოეზიის დარიალი გიორგი ლეონიძე, მუხათგვერდის ფლატეებიდან შეჰყურებდა არმაზის მხვრევას ვასილ ბარნოვის შემოქმედებითი ფანტაზია, მცხეთის ქუჩებში უყვარდათ სიარული გრიგოლ რობაქიძეს, ტიციან ტაბიძეს და პაოლო იაშვილს, არმაზი ხიბლავდა სიმონ ჩიქოვანს, შესანიშნავი ლექსი უძღვნა ირაკლი აბაშიძემ, სტრიქონებში გააცოცხლა ძევახ პიტიახში გრიგოლ აბაშიძემ. მცხეთას ესიყვარულებოდნენ: გიორგი ქუჩიშვილი, ალიო მირცხულავა, დავით გაჩეჩილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, იოსებ ნონეშვილი და სხვები. მცხეთას აღმერთებდა ჩვენგან უდროოდ წასული უნიჭიერესი პოეტი შოთა ნიშნიანიძე:

**როცა მე გარდავიცვალე, იდგა**
**აღდგომის სწორი,**
**ზღაპარში ხარი ატირდა,**
**სახლში შვილი და ცოლი,**
**შემიდგნენ არაგველები თავის**
**მგალობლის ცხედარს**
**ფარებზე გადამიწვინეს და**
**წამასვენეს მცხეთას.**
**— საით ბიჭებო?! გავძახე,**
**მითხრეს, უფლისა ნებით,**
**იქ დიდი საქართველოა,**
**იქ აღარავინ ვკვდებით.**

დღეს სვეტიცხოველი მცხეთაში, როგორც ქართველი ხალხის შემოქმედების, მისი მდიდარი ფანტაზიის მღაღადებელი, როგორც ხელოვნების, ხუროთმოძღვრების ხელთუქმნელი ქმნილება და მართლაც პოეტისა არ იყოს:

**საქართველოა**
**რა საქართველო**
**უსვეტიცხოვლო,**
**უგელათო,**
**უალავერდო.**

მცხეთა ერის უკვდავების საგანძურია, ხოლო მცხეთობა ქართველი ხალხის უკვდავების მქადაგებელი დღესასწაული.

**ვალერიან მამუკელაშვილი,**

**სურათზე:** მცხეთის ახალი განაშენიანება.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

**მკითხველის წინადადება**

## მგონი, ასე აჯობებს...

**წლები გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის უდიდესი აგრარული დეზერტირების ბაზრის კაპიტალური შენობა ერთიანად დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს.**

არცთუ დიდი ხნის წინათ მის ადგილზე ბაზრის ახალი ნაგებობის მშენებლობა დაიწყეს და ამჟამად, ყოველ შემთხვევაში გარედან ასე ჩანს, მოსაპირკეთებელი სამუშაოები დასასრულს უახლოვდება, შენობის ფასადს კი წარწერა „დეზერტირების ბაზარი“ ამშვენებს. ჩემი აზრით, XXI საუკუნის თბილისს აღარ შვენის ეს ძველი, მართლაც წარსულის გადმონაშთი სახელი და, ვფიქრობ, ახალ აგრარულ ბაზარს დედაქალაქის ხელისუფლებამ ახალი სახელი უნდა დაარქვას.

მგონი, წინადადება, რომელსაც ასევე ჩემი მეგობრებიც იზიარებენ, დედაქალაქის მერიამ უნდა სამსჯავროზე გამოიტანოს, რისთვისაც ახალი სახელწოდების რამდენიმე სავარაუდო ვარიანტს გთავაზობთ:

1. „დიდუბის ბაზარი“. 2. „ოცნების ბაზარი“.



**თენგიზ თომაძე,**
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

ჯობს გვიან...

# ან კი აქამდე რა აკავშირებდათ?



**როგორც გუშინ შევიტყვეთ, დედაქალაქის საკრებულო „ნაციონალური მოძრაობიდან“ არჩეულმა დეპუტატებმა — ნემსაძემ და რაფავამ დატოვეს, ხოლო მათივე თანაპარტიელები ქავთარაძე და შიხიაშვილი ანალოგიურ ნაბიჯს მოგვიანებით გადადგამენ. გაცხადდა ისიც, რომ აღნიშნული კვარტეტი „ქართულ ოცნებაში“ გადასვლას და ახალი ფრაქციის შექმნას აპირებს.**

სხვებზე ამჟამად ვერაფერს მოგახსენებთ, აი, ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტნისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 45-წუთიანი პრეზიდენტის გიორგი ნემსაძის შესახებ კი, ვფიქრობ, ღირს სიტყვის დასვენება.

ადამიანის ბედი, ვინც არ უნდა იყოს ის, ყოველთვის აინტერესებს საზოგადოებას, ხოლო თუ პიროვნება პოპულარული და, როგორც ყოფილი რეჟიმის ქომაგები ამბობდნენ, ცნობადი სახეა, ცნობისმოყვარეობა ათმაგდება.

ვინაიდან „ნემსო“ სწორედ ასეთთა კატეგორიას განეკუთვნება, ბევრნი იმთავითვე გაკვირვებულნი იყვნენ, 2007 წლის 13 მაისის სფფ სამარცხვინო ყრილობის შემდეგ რაღა აჩერებდა მას იმ მმართველი გუნდის რიგებში, რომელმაც ულვთოდ გაწირა და ყველანაირი ღირსებები შეუბღალა.

ვიმედოვნებთ, ქვეყანაში პოლიტიკური კლიმატის შეცვლა დააჩქარებს იმ კითხვაზე პასუხის მიღებას, თუ რა მოხდა 5 წლის წინათ თბილისის „ქორთიარდ მარიოტში“ დადგმული საარჩევნო ფარსის დროს, მანამდე კი პირადად მე შვებით ამოვისუნთქე:

კიდევ კარგი!

**გია პლატონიშვილი**

ჭიდაობა

# საკანდელიძის ოქრო



**120 კილოში საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრ გიორგი საკანდელიძეს ოქროს შემოდგომა უდგას. ჩვენმა ფალავანმა ჯერ ბაქოს „ოქროს დიდი პრიზი“ მოიგო, შემდეგ ყაზახეთის საერთაშორისო ტურნირზე გაიმარჯვა, ახლა კი რუსულ იაკუტსკში ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.** დმიტრი კორკინის სახელობის ტურნირზე საკანდელიძემ ჯერ მონღოლ ენტუგს ოიუნბოლდი დაჯაბნა ორ პერიოდში, მეოთხედფინალში თანაგუნდელი გენო პეტრიაშვილი დაამარცხა, ნახევარფინალში რუსი კირილ კოტოვცევს აჯობა, გადამწყვეტ პაექრობაში კი ბელარუს იგორ ძიატკოს დააყრევინა ფარ-ხმალი. საქართველოს ნაკრების სხვა წევრთაგან იაკუტსკში მამუკა კორძაიამ (96 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**გივი გაგუა**

ძიუდო

# პაპინაშვილის არაბული ვერცხლი



**აბუ დაბი (არაბთა გაერთიანებული საამირო) ძიუდოისტთა გრან პრის მასპინძლობს. შეჯიბრებაში ოთხი ქართველი მონაწილეობს. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ამირან პაპინაშვილმა იყოჩაღა:** ქართველმა ძიუდოისტმა ზედიზედ სძლია იპონით ლიბანელ ზიადე დამიენის და ამერიკელ ნიკოლას კოსორს, ნახევარფინალში მონღოლი ამარტუვშინ დაშდავაა დაამარცხა, გადამწყვეტი პაექრობა კი რუს ბესლან მუდრანოვთან წააგო და ვერცხლის მედალთან ერთად 110 სარეიტინგო ქულაც დაიმსახურა.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ძალებს ცდიდა იაკობ გაზდელიანი, მაგრამ იგი სტარტზევე დამარცხდა იაპონელ მასაში კოდერსთან და შეჯიბრებას გამოეთიშა.

**ლაშა დიდია**

კალათბურთი

# ქართველთა სტარტი

**ევროლიგის ახალი სეზონის პირველი ტურის უმთავრესი სენსაცია ლიუბლიანის „ოლიმპიამ“ შემოგვთავაზა, რომელმაც იტალიაში „კანტუ“ დაჯაბნა — 84:71.**

მასპინძელთაგან საუკეთესოდ ითამაშა მანუჩარ მარკოიშვილმა, რომელიც თავის ყოფილ გუნდთან ბრძოლაში პარტნიორებს 19 ქულით შეეწია, თუმცა ერთი მერცხლის ჭიკჭიკმა გაზაფხული ვერ მოიყვანა.

მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა თელ-ავივის „მაკაბიმ“, სადაც გიორგი შერმადინი ასპარეზობს. ებრაულმა კლუბმა მალაგაში „უნიკახას“ სძლია — 85:80. აღსანიშნავია, რომ სტუმართა ქართველმა ცენტრმა 9 ქულა მოაგროვა, თანაც ყველა — საჯარიმოებით (12 ცდიდან).

**დანარჩენი შედეგები:** ცსკა — „ლიეტუვას რიტასი“ 75:73, „ჟალგირისი“ — „ცედევიტა“ 90:62, „შალონი“ — „პროკომი“ 81:74, „ოლიმპიაკოსი“ — „ლაბორალი“- 85:81, „ფენერბახჩე“ — „ხიმკი“ 92:80.

**ვიტალი ჯაფარიძე**



დარბაზბურთი

# ნავსი უნდა გავტეხოთ

**უეფას ფუტსალის თასის გათამაშების ელიტ-რაუნდი ისე დაიწყო, ქართველი გულშემატკივარი უკეთესს ვერც წარმოიდგენდა.**

ოთხთა ტურნირის რეიტინგ-ფავორიტმა ლისაბონის „ბენფიკამ“ ძვირფასი ქულები დაკარგა უნგრულ „დიორ ეტოსთან“ — 3:3, ხოლო თბილისის „იბერია სტარმა“ იტალიური „ლუპარენსე“ დააჩოქა — 6:1.

აღსანიშნავია, რომ მასპინძლებს დისკვალიფიკაციის გამო ორი ლიდერი — რონინიო და ბეტინიო აკლდათ, თუმცა მრისხანე მეტოქის დასამარცხებლად პრობლემა მაინც არ შექმნიათ.

შეგახსენებთ, რომ ფინალურ კვარტეტში თბილისის ჯგუფიდან მხოლოდ გამარჯვებული გადის, ასე რომ, იბერიელები სანუკვარი ოცნების ასრულებასთან ისე ახლოს არიან, როგორც არასდროს.

**გიორგი შოთაძე**



ნიჩბოსნობა

# დუშელთა უპირატესობით

**ქუთაისმა ნიჩბოსანთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა სამ ასაკში. საასპარეზოდ საქართველოს ექვსი ქალაქისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. გაზეთის წინა ნომერში იმათი ვინაობა გაუწყეთ, რომლებიც აკადემიურ ნიჩბოსნობაში ავიდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. დღეს ბაიდარასა და კანოეში გამარჯვებულებს გაგაცნობთ.**

**ბაიდარა. უფროსები.** ერთადგილიანი. ზაურ დევაძე (ქუთაისი, 200 და 500 მ), ორადგილიანი. ზაურ კიკალეიშვილი, მენე გოგელაშვილი (ქუთაისი, 200 და 500მ). **ახალგაზრდები. ერთადგილიანი.** გიორგი ელბაქიძე (დუშეთი, 200 და 500მ), ორადგილიანი. ლაშა კვაჭაძე, ზურაბ დოლიძე (ფოთი, 200 და 500მ), **1998-2000 წ. წ. დაბადებულნი. ერთადგილიანი.** ვალერი რთველიაშვილი (მცხეთა, 200მ), ნიკოლოზ ლაზვიაშვილი (დუშეთი, 500მ). **ორადგილიანი.** ვასილ ჯიქურაული, გიორგი გოზეჯიშვილი (დუშეთი, 200 და 500მ). **გოგონები. ახალგაზრდები.** მადონა ყარსიმაშვილი (დუშეთი, 200 და 500მ), **1998-2000 წ.წ. ერთადგილიანი.** თეონა შაბურიშვილი (დუშეთი, 200 და 500მ), **ორადგილიანი.** ანა და ნინი ჯიქურაულები (დუშეთი, 200 და 500მ).

**კანოე. უფროსები. ერთადგილიანი.** გიორგი ჭინჭარაშვილი (დუშეთი, 200მ), ალექსანდრ პესტოვი (მცხეთა, 500მ). **ორადგილიანი.** ზაზა და ვარლამ ნადირაძეები (მცხეთა, 200 და 500მ). **ახალგაზრდები. ერთადგილიანი.** გიორგი შაბურიშვილი (დუშეთი, 200 და 500მ), **ორადგილიანი.** დიმა ბადახკოვი, საბა ხოშტარია (ფოთი, 200 და 500მ). **1998-2000 წ.წ. ერთადგილიანი.** ბორის კაკულია (ფოთი, 200 და 500მ), **ორადგილიანი.** მირზა და ბორის უშიკაშვილები (დუშეთი, 200 და 500მ).

**ლექსო ცინცაძე**



ფაქტი

# ამბავი ბლოხინისა...



**ჰიპერტონული კრიზი — ამ დიაგნოზით უკრაინის საფეხბურთო ნაკრებისა და კიევის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი საავადმყოფოში დააწვინეს, მაგრამ მას ასევე სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა, რადგან მარცხენა საძილე არტერიის თრომბოზი დაუდგინეს.**

ამჟამად გამოჩენილი ფეხბურთელის გამოჯანმრთელების პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს, მაგრამ ექიმებმა მას ყველანაირი ემოციები აუკრძალეს. ამასთან, ცნობილი გახდა, რომ რეაბილიტაციის პროცესის დასრულების შემდეგ ბლოხინი სამწვრთნელო მოღვაწეობას დაუბრუნდება, ახლა მხოლოდ ამის ვადებია დასაზუსტებელი.

— კონკრეტულად რა დრო დასჭირდება ოლეგ ბლოხინს ჯანმრთელობის აღსადგენად, ძნელი სათქმელია, პროგნოზების გაკეთება ამ დროს მაინცდამაინც სასურველი არ არის, — ამბობს სამედიცინო კლინიკის „ბორისის“ პრეზიდენტი მიხეილ რადუცკი. — ერთი კია, რომ ბატონი ბლოხინი თავს კარგად გრძნობს და ექიმებს ტელევიზორით ზოგიერთი საფეხბურთო შეხვედრის ტრანსლაციის ყურების უფლების მიცემას სთხოვს.

**ირმა ირემაშვილი**

№197. შაბათი, 13 ოქტომბერი, 2012 წელი.

◎ ღირსება

# „ცხოვრება მარადისობისთვის მზადებაა...“

**9 ოქტომბერს ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზმა მსახიობ ნოდარ მგალობლიშვილს უმასპინძლა. ამ შეხვედრით სამშაბათობების ტრადიციული სეზონი გაიხსნა.**

**ეს ჩვენს ცხოვრებაში გამორჩეული დღეა, რადგან გვაქვს ბედნიერება შევხვდეთ ნოდარ მგალობლიშვილს — პიროვნებას და მსახიობს,— აღნიშნა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ, — ჩვენ გვყოლია არაერთი შესანიშნავი ხელოვანი, რომლის პიროვნებაც არ ყოფილა მისი შემოქმედებითი ტალანტის შესატყვისი, გვყოლია არაერთი ღირსეული პიროვნება, ყოვლად წესიერი ადამიანი, რომელთაც არ ჰქონიათ შესაფერისი შემოქმედებითი ტალანტი, და ძალიან იშვიათია ერთად — ჰარმონიული პიროვნება, მოქალაქე და ხელოვანი. სწორედ ასეთი შემთხვევაა ჩვენთვის ძვირფასი მსახიობი და საამაყო პიროვნებაო, დასძინა როსტომ ჩხეიძემ.**



„როცა ბატონ ნოდარზე ჩამოვარდება საუბარი, უმთავრესად ახსენდებათ თეიმურაზ ხევისთავი, მართლაც, ბრწყინვალედ განსახიერებული ტელეეკრანზეც და თეატრალურ სცენაზეც. მაგრამ ისე მოხდა, რომ ამ როლმა გადაფარა სხვა როლები, თუმცა ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ მის მიერ შესრულებული არანაკლები როლები, თუნდაც ჰაკი აძბა, თუნდაც იაგო, რომელიც იმით იყო გამორჩეული, რომ ბატონი ნოდარის შესრულებით შეიყვარა მაყურებელმა. მან შესანიშნავად ითამაშა დოსტოევსკის „მარადქმარში“, იბსენის ორ პიესაშიც...“

როსტომ ჩხეიძის თქმით, იაგოს ყოველთვის წარმოსახავდნენ, როგორც ბოროტებას, ეს ბოროტება, ცბიერება სახეზე ახატია. **„თავის დროზე კოტე მარჯანიშვილმა და უშანგი ჩხეიძემ მიაგნეს იმ მარცვალს იაგოს ხასიათში, რომ გარეგნულად იაგო უნდა ყოფილიყო ძალიან მომხიბლავი, ყველასთვის საყვარელი პიროვნება. გადის ხანი და ზუსტად იგივე განმეორდა, თემურ ჩხეიძემ და ბატონმა ნოდარმა სწორედ ასე წარმოსახეს იაგო. და მაშინ თავის დროზე, უშანგი ჩხეიძე ამბობდა, მსახიობი, რომელიც შეძლებს, რომ კარგად შეასრულოს იაგოს როლი, ოტელოზე არანაკლები იქნებაო. და განმეორდა ჩვენს რეალობაში, იაგომ მოიპოვა ძალიან დიდი სიყვარული, თავისი პიროვნული თვისებებით ბატონმა ნოდარმა გადაამეტა კიდეც და იაგო იყო გამორჩეული სახე თემურ ჩხეიძის მიერ დადგმულ „ოტელოში“...**

ამ სიტყვების შემდეგ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში ცოცხალი, გულწრფელი დიალოგი შედგა ნოდარ მგალობლიშვილთან, ვინც ისედაც გულწრფელი და მართალი პიროვნებაა და რაიმე დასამალი არც არავის წინაშე არ აქვს.

ნოდარ მგალობლიშვილს მტკივნეულად ახსოვს ბავშვობა, რეპრესიები, მამის დაპატიმრება, შემდეგ ომი, გაჭირვება, მამის უკანასკნელი ხალათის გაყიდვა საბურთალოს ბაზარზე... მამის გარდაცვალება.

ნოდარ მგალობლიშვილმა გაიხსენა სტუდენტობის წლები თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე...აკაკი ვასაძემ და შემდეგ აკაკი ხორავამ მას სულ სხვა სამყაროები აღმოაჩენინა. სახელოვანი მოღვაწეების: აკაკი ვასაძის, აკაკი ხორავას გარდა მის გვერდით იყვნენ: ოთარ მეღვინეთუხუცესი, ირაკლი უჩანეიშვილი, ლილი იოსელიანი და თემურ ჩხეიძე. „სწორედ ლილი იოსელიანისა და თემურ ჩხეიძის წყალობით გავხდი ის, რაც ვარ“, — ბრძანა მან.

კრიტიკოსმა თემურ ქორიძემ „ჯაყოს ხიზნები“ გაიხსენა. „ამ სპექტაკლში იყო საოცარი რამ, თავის დროზე ბერდიაევი რომ შენიშნავდა — მე არ მინდა ვიყო ბედნიერი, მძულს ბედნიერება, მეზიზღებაო... ჯიუტი თავის ტანჯვაში, ჯიუტი თვითგვემაში, — ასეთი ხევისთავი დახატა ბატონმა ნოდარმა, და ეს ხევისთავი თუკი ვინმეს მიმართ იყო შეუბრალებელი, საკუთარი თავის მიმართ. საზოგადოებაშიც ზუსტად ის რეაქცია გამოიწვია, როგორიც უნდა ჰქონოდა — ისე მიყვარდი, ამ სიყვარულით მძულდი კიდევაცო...თითქოს საგანგებოდ მიდის ამ მკაცრ და სამართლებრივ ბილიკზე. შალვა ამირეჯიბმა მიხეილ ჯავახიშვილს მაშინ უსაყვედურა — ასეთი ღირსებააყრილი, დაცირებული, დაბეჩავებული, შეურაცხყოფილი, ამ სოფლისთვის აბსოლუტურად უვარგისი ადამიანი, ქართველი აქამდე როგორ დაიყვანეო?

გადის დრო და ბატონ ნოდარს უბოძეს ღირსების ორდენი. ღირსების ის ორდენი, რომელიც დაამშვენებდა ნებისმიერი დიდი ხელოვანის ბიოგრაფიას, მან თქვა — ღირსებააყრილ ქვეყანაში ღირსების ორდენის მიღება სირცხვილიაო, და ეს ორდენი არ აიღო. ვფიქრობ, ეს ის წუთია, რომლისაც მართლა შეიძლება შეშურდეს ნებისმიერ ადამიანს, როგორი კდემამოსილიც, როგორი თავმდაბალიც, როგორი გულწრფელიც არ უნდა იყოს. ასეთი რამ იწვევს აღტაცებას და იმის შეგრძნებას, რომ ადამიანში არის უფრო მეტი რამ, ვიდრე ერთი შეხედვით ჩვენ წარმოგვიდგება. მაშინ მთელი ქართული საზოგადოება ამაზე საუბრობდა და გულში ნატრობდა იმ მდგომარეობაში ყოფნას, რა მდგომარეობაშიც როგორი ღირსებით თქვა ბატონმა ნოდარმა უარი ღირსების ორდენზე“... — დაასრულა თემურ ქორიძემ.

**„ცხოვრება მზადებაა მარადისობისთვის,** — დასძინა ბატონმა ნოდარმა, **— თუ მარადისობისთვის არ იბრძვი, მაშინ მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობ. მაგრამ ვინც მარადისობისთვის იბრძვის, ყოველთვის არის გულღია, გულმოწყალე და პრინციპული...ეს კი არც ისე იოლია. ამიტომ ხან დაუნდობელი ვარ მოვლენებისა და ადამიანების მიმართ, ხანაც — ძალიან მოწყალე...მაგრამ ასე არ შეიძლება. გულმოწყალე უნდა იყო“...** — იმ დღეს, ჩვენ წინაშე გულწრფელი ბატონი ნოდარი იდგა, გულღია და მართალი, და რაც ყველაზე ძვირფასია — ღირსებით შემკული ხელოვანი...

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ ნობელიანტები — 2012

# ზესწრაფ კომპიუტერებს უნდა ველოდეთ




**ფიზიკაში ნობელის პრემია ფრანგ სერჟ აროშსა და ამერიკელ დევიდ უაინლენდს მიეკუთვნათ იმ ნოვატორული ექსპერიმენტული მეთოდების შემუშავებისთვის, ცალკეული კვანტური ნაწილაკების გაზომვისა და გაკონტროლების საშუალებას რომ იძლევიან.**



**სერჟ აროში** მაროკოშია დაბადებული, ახლა კოლეჯ დე ფრანსის (პარიზიძ პროფესორია; ნამუშევარია სტენფორდისა და ჰარვარდის უნივერსიტეტებში, აგრეთვე, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში, 2009 წელს ფიზიკოსმა საფრანგეთის სამეცნიერო კვლევათა ეროვნული ცენტრის ოქროს მედალი მიიღო. იგი პირველი ნობელიანტი გახდა მაროკოდან.

**დევიდ უაინლენდი** აშშ-ის სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ეროვნულ ინსტიტუტში მომუშავე ამერიკელი ფიზიკოსია, რომელმაც 1978 წელს პირველმა შეძლო იონების ლაზერული გაცივების დემონსტრირება. საგულისხმო დეტალი: ამ მეცნიერის გამოკვლევებმა გზა გაუხსნა უილიამ ფილიპსის, სტივენ ჩუს, კლოდ კოენ-ტანუჯის, მოგვიანებით ერიკ კორნელსის, ვოლფგანგ კატერლესა და კარლ ვიმანის შრომების გამოჩენას — ყველა ეს ფიზიკოსი ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა გასული საუკუნის მიწურულსა და მიმდინარეს დასაწყისში!

ისიც საგულისყუროა, რომ აროში და უაინლენდი „ტყუპები“ არიან — 63-68 წლისანი, ორივე მუშაობს კვანტური ოპტიკის იმ დარგში, რომელიც სინათლის ნაწილაკებისა და მატერიის ურთიერთქმედებას შეისწავლის.

შვედეთის მეცნიერებათა სამეფო აკადემიის შეფასებით, ლაურეატებმა „კარი შეაღეს კვანტურ ფიზიკაში ექსპერიმენტირების ახალ ეპოქაში, კვანტურ ნაწილაკებზე უშუალო დაკვირვებით, მათ დაუზიანებლად“. სხვათა შორის, აქამდე ეს შეუძლებლად იყო მიჩნეული მეცნიერებაში. იმავე აკადემიის აზრით, აროშისა და უაინლენდის ძიებებმა შესაძლებელი გახადა პირველი ნაბიჯების გადადგმა ახალი ტიპის სუპერსწრაფი კომპიუტერების შექმნისკენ, რომლებიც ნაწილაკთა კვანტური ბუნების განსაკუთრებულობებზე იმუშავებენ. კვანტურმა კომპიუტერებმა ეგების ისევე კარდინალურად შეცვალონ უკვე ამ ასწლეულში ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, როგორც ეს ჩვეულებრივმა კომპიუტერებმა გააკეთეს წინა ასწლეულში.

იმათი ძიებების კიდევ ერთი ნაყოფია ზედმიწევნით ზუსტი საათების გაკეთება, სამომავლოდ დროის ახალი სტანდარტის საფუძველი რომ გახდებიან, ასჯერ უფრო ზუსტი საათებისა, ვიდრე თანამედროვე ცეზიუმის (ანუ ატომურიძ საათებია.

აროშისა და უაინლენდის მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შემუშავებულ მეთოდს ბევრი რამ აქვს საერთო. იმათმა გამოკვლევებმა საშუალება მოგვცა ფიზიკის არაერთ საბაზო საკითხზე პასუხის გაცემისა, როგორიცაა, მაგალითად, კოგერენტობა... სკოლაში გვასწავლიან, რომ კვანტური ნაწილაკები ორმაგი ბუნებისანი არიან — კორპუსკულარულ-ტალღურისა, კვანტურ სამყაროში კლასიკური მექანიკის კანონები არ მუშაობენ, საჭიროა კვანტური კანონების გამოყენება; ოღონდ ცალკეული ნაწილაკების გამოყოფა მომცველი გარემოდან იოლი როდია და ისინი გარე სამყაროსთან შეხებისას კარგავენ „იდუმალ“ კვანტურ თვისებებს. სწორედ ამიტომაც ვერ ხერხდებოდა კვანტური ფიზიკის ნაწინასწარმეტყველები ზოგიერთი ანომალური მოვლენის პირდაპირი დაკვირვება და მკვლევარებს უწევდათ იმგვარი ირიბი ექსპერიმენტების გამოგონება, რომლებიც თეორიული ვარაუდების ბაზურ დადასტურებას იძლეოდნენ. ახალმა ლაურეატებმა ეს შესანიშნავდ მოახერხეს.

კიდევ ერთი საინტერესო გარემოება ფიზიკაში წლევანდელი ნობელიანტების გამოვლენის გარშემო. უეჭველ ფავორიტად ითვლებოდა ე. წ. კვანტური ტელეპორტაციის აღმოჩენასა და ექსპერიმენტულ დადასტურებასთან დაკავშირებული ნაკვლევი. პრემია უნდა გაეყოთ



ჩარლზ ბენეტს, ჟილ ბრასარს (მონრეალის უნივერსიტეტიძ და უილიამ ვუტერსს (უილიამსის კოლეჯი, მასაჩუსეტსი, აშშძ. შესაბამისმა ნობელის კომიტეტმა სხვანაირად განსაჯა...

ლაპარაკი იყო, აგრეთვე, წლევანდელი წლის მთავარ ფიზიკურ აღმოჩენაზე ჰიგსის ბოზონის მსგავს ნაწილაკზე (რომელსაც ქართულად უკვე შეერქვა „ღვთიური ნაწილაკი“ძ; რამდენადაც შედეგები ჯერ კიდევ არაა საჭირო სიზუსტით დადასტურებული, კომიტეტის ექსპერტები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ჰიგსის ბოზონი უკვე 2013 წლის თემა იქნება...

**ნათია თამარაშვილი,**
**თამაზ ებანოიძე**

◎ „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე

## მათ, ნაცთა, შექმნეს სისტემა...

გასრულდა ესე ნაცობა, ვითა კოშმარი ღამისა
და უტიფარი ბაცნობა, ზედაც ჩხავილი ყვავისა,
ვითა უმსგავსო ანცობა ზვავისა, გინა ღვარისა —
უხარით ყანად სიმინდსა, ტყედ ნაძვსა, მინდვრად ყვავილსა.

არვინ აღარ სჭექს „მიშასა“, ვინც ხშირად ასცდა ნიშანსა,
ვინც სოფლად ვერ მოუარა ნიკორასა და ნიშასა,
ვინც წყალს ატანდა ბევრ კარგსა, არა სტოვებდა ქვიშასაც,
ვინც ქვეყნის გამთლიანება ვერასგზით ვერ გაგვიშანსა...

მათ, ნაცთა შექმნეს სისტემა ძალითა, დამთრგუნველითა,
ჩასუქდნენ ხალხის ძარცვით თუ გაყიდულ მინდორ-ველითა,
ახლა ბეჭებზე გართხმულან ძლევითა, საკვირველითა,
ჩვენ, კაცნი, ამის მომსწრენი, უკეთეს მერმისს ველითა!..

**რამაზ ილმელი**

◎ სტიქია

## მეწყერი აჭარაში

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, კირნათის თემის სოფელ შუშანეთში მეწყერი ჩამოწვა.**

**როგორც კირნათის თემის რწმუნებულმა ნარიმან აბაშიძემ საუბრისას აღნიშნა, მეწყერი ილია ცინცაძის საცხოვრებელი სახლიდან ერთი მეტრის სახლოვესაა ჩამოწოლილი. მისივე თქმით, სახლთან ახლოს მოზრდილი ბორცვი ჩამოშლის პირასაა, რამაც, შესაძლოა, სახლიც დააზიანოს.**

**გვიან ღამიდან უამინდობაა აჭარის რეგიონში. ძლიერი წვიმისა და ქარბორბალას შედეგად, ქობულეთში აღმაშენებლის და რუსთაველის გამზირზე დაზიანებულია ელექტროენერგიის ხაზები და ბუნებრივი აირის მილები. მოგლეჯილია ხეები. ძლიერმა ქარმა რამდენიმე საცხოვრებელ სახლს სახურავი გადახადა. ამ დრომდე ძლიერი წვიმაა ბათუმში და აჭარის მაღალმთიან რეგიონებში.**

ინტერპრესნიუსი

◎ ინფორმაცია

## ტყიბულში მაღაროელები გაიფიცნენ

**ტყიბულში მინდელის სახელობის მაღაროს თანამშრომლები გაიფიცნენ. როგორც იუწყებიან, მაღაროელები ადმინისტრაციისგან მოითხოვენ არსებული ხელფასების შენარჩუნებას, რადგან აქვთ ინფორმაცია, რომ მათი ხელფასების შემცირება იგეგმება.**

**ასევე, ისინი მოითხოვენ სამომავლოდ ხელფასების ზრდას და მათი უფლებების დაცვას. მაღაროელების კიდევ ერთი მოთხოვნა დაზღვევის პაკეტსა და დაგეგმილი შემცირებების დაუშვებლობას ეხება.**

**გაფიცულებს ტყიბულის მაჟორიტარობის კანდიდატი ელისო ჩაფიძე შეხვდა.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## დაიჯესტი

### მეზალიანსი

**უთანასწორო ქორწინებები — ასაკობრივი იქნება, სოციალური თუ ქონებრივი, ყოველთვის იყო მწერლების, მხატვრების, ფსიქოლოგების თუ სოციოლოგების ყურადღების ცენტრში. მრავალსაუკუნოვან დაკვირვებათა შედეგად მეზალიანსთან დაკავშირებით არაერთი საგულისხმო ფაქტი გახდა ცნობილი.**

დავიწყოთ იმით, რომ უთანასწორო ქორწინების შედეგად, უფრო დაბალი სოციალური სტატუსის მქონე მეუღლე უფრო მაღალი სოციალური სტატუსის მქონე „მეორე ნახევრის“ მდგომარეობას აღწევს; უთანასწორო ქორწინებებში ყველაზე მეტად გავრცელებულია ასაკობრივი მეზალიანსი; გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, რომ ყველა უთანასწორო ქორწინება უიღბლოა და ბოლოს განქორწინებით მთავრდება, სინამდვილეს არ შეესაბამება; უფროსი ასაკის მამაკაცები უფრო ხშირად მიზანდასახული და წარმატებამიღწეულ, მდიდარი სულიერი სამყაროს მქონე ახალგაზრდა ქალებს უყვარდებათ. საქმე ისაა, რომ მოწიფული მამაკაცის გონების, ნიჭისა და შემოქმედე-



ბითი პოტენციალის ჯეროვნად დაფასების უნარი ყველა ახალგაზრდა ქალს არა აქვს; ახალგაზრდა ცოლის შერთვა მოწიფული მამაკაცისთვის ხშირად ახალი ცხოვრების დაწყების მისწრაფებას უკავშირდება; ახალგაზრდა ცოლისა და მოწიფული მამაკაცის ქორწინების სამი მთავარი ნაკლი ისაა, რომ ქმარი ცოლზე გაცილებით ხშირად ეჭვიანობს, ვიდრე ეს „თანასწორ“ ქორწინებებში ხდება ხოლმე, ქალს ხშირად უწევს მეუღლის წინა ქორწინებიდან შვილებთან საკმაოდ რთულ ურთიერთობათა დალაგება, ქორწინების ბოლომდე ქალი „დამორჩილებულ“ მდგომარეობაში რჩება; ამასთან, ასეთ ქორწინებებში რამდენიმე დადებითი მომენტიცაა, კერძოდ: მამაკაცი უფრო დიდი ხნის მანძილზე ახალგაზრდა რჩება, როგორც უფრო მეტი გამოცდილების მქონე მამაკაცს ქალისთვის სექსში უფრო მეტი სიამოვნების მოტანა შეუძლია, მოწიფული მამაკაცები უფრო კარგი მამები არიან, უფროსი ქმრის ხელში ქალი მუდამ ახალგაზრდა რჩება; დადებითი მხარეები ასევე აქვს უფროსი ცოლისა და ახალგაზრდა ქმრის ქორწინებას, მათ შორის: ახალგაზრდობას ქალი უფრო დიდ ხანს ინარჩუნებს, მატერიალურად იგი ქმრისგან დამოუკიდებელია, საკუთარ ძალებში ნაკლებად დარწმუნებული მამაკაცი ასეთ ქორწინებაში ცხოვრებაში წარმატებას გაცილებით ხშირად აღწევს, სექსუალური ჰარმონია ასეთ წყვილებში უფრო ხშირად ადვილად მიიღწევა; თუმცა კი ასეთ ქორწინებებს უარყოფითი მხარეებიც აქვს, კერძოდ, წყვილს ხშირად აკრიტიკებენ, ზოგჯერ კი სულაც დასცინიან, მამაკაცმა ხშირად, შესაძლოა, ინანოს თანატოლ ქალებთან ურთიერთობების დამყარების დაკარგული შესაძლებლობების გამო, ასეთ ქორწინებებში წყვილებს შვილები გაცილებით იშვიათად ჰყავთ.

### პატარები მამებს ჰგვანან



**სუროგატული დედობის რეკორდი 47 წლის ამერიკელ მერიდიტ ოლაფსონს ეკუთვნის, რომელმაც ცოტა ხნის წინათ „დაკვეთით“ მეთერთმეტე ბავშვი გააჩინა.**

იმავე დროს მისის ოლაფსონი საკუთარ ოთხ შვილს ზრდის. ხელოვნური განაყოფიერების დროს ხშირად დონორის კვერცხუჯრედს იყენებენ, მაგრამ პატარები თავიანთ ბიოლოგიურ მამებს და არა „დონორ“ დედებს ემგვანებიან. თუ რატომ ხდება ასე, მეცნიერებმა ამის დადგენა ჯერჯერობით ვერ შეძლეს.

### დონორი დამნაშავეები

**მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში ადამიანების ორგანოებით ვაჭრობა 2007 წლიდან აკრძალულია, რაოდენ ცინიკურიც უნდა იყოს, სიკვდილით დასჯილ დამნაშავეებს „სათადარიგო ნაწილებად“ ანაწევრებენ. ეს ამბავი კი ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეს ხუან ძეფუს წამოცდა.**

ასეთი პრაქტიკა ჩინეთში ადრეც არსებობდა, მაგრამ ბოლო წლებში ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სიკვდილით დასჯილ დამნაშავეებს ორგანოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში კვეთენ, თუ გადანერგვას მათივე ნათესავები საჭიროებენ. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა აზიური ეშმაკობა. საქმე ისაა, რომ მსოფლიოში ყველაზე



მეტ ხალხს სიკვდილით ჩინეთში სჯიან, ამასთან ყოველწლიურად ტრანსპლანტაციის რიგში 1,5 მილიონი კაცი დგება, თუმცა, მათგან გადარჩენის შანსი მხოლოდ 10 ათას კაცს ეძლევა.

ამ ამბავს მეტი მუქი ფერი სამართალდამცველებმა შემატეს, რომელთა განცხადებით ჩინელი მედიკოსები ორგანოებს არა მარტო სიკვდილმისჯილთა ან მათ ნათესავთა დაუკითხავად იღებენ, არამედ ჯერ კიდევ ცოცხალ სიკვდილმისჯილებს აცლიან.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



#### „შაქრო კალაშოვმა ხელისუფლებას ჯიპები და სკუტერები უყიდა“

— აცხადებს ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე, — დავით ბეჟუაშვილმა ერთ-ერთ ქართველს დაავალა, დაერეკა კალაშოვისთვის და მისთვის მოეთხოვა ერთი მილიონი ევრო... კალაშოვმა მართლაც გამოაგზავნა ერთი მილიონი ევრო, რითაც მას ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევდნენ. შემდეგ მოთხოვეს 130 ათასი დოლარი წყნეთში ბეჟუაშვილის აგარაკის გასარემონტებლად, შემდეგ შეაძენინეს ჯიპები, სკუტერები, მოტოციკლეტები და კიდევ დაამატებინეს 200-300 ათასი დოლარი.

**„ახალი თაობა“**

#### „ივანიშვილის მთავრობაში ჩემს თავს ვერ ვხედავ“

— მიაჩნია „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, — ჯერ ერთი იმიტომ, რომ არჩევნები კოალიციამ მოიგო, და მეორე, სანამ სააკაშვილი ხელისუფლებაშია, მე არ ვაპირებ, თუნდაც ფორმალურად მის მთავრობაში თუ ხელისუფლებაში ვიყო... ძალიან ვაფასებ იმას, რომ ივანიშვილს არ შემოუთავაზებია ჩემთვის რაიმე თანამდებობა, როცა ჩვენ შევხვდით ერთმანეთს.

**„რეზონანსი “**

#### „ეიფორიას თავი გაანებეთ — „ნაციონალური მოძრაობა“ ყველაფერს გააკეთებს საპარლამენტო საბოტაჟისთვის“

— აფრთხილებს „ოცნებას“ ექსპერტი მამუკა არეშიძე, — ამიტომ, ერთი წელი „ნაციონალების“ დანაშაულების გახსნით, „ოცნებამ“ თავისი მდგომარეობა უნდა შეინარჩუნოს, რადგან ამ ერთი წლის მანძილზე, ახალ ძალას ძალიან გაუჭირდება იმ სოციალურ-ეკონომიკური ნაბიჯების გადადგმა, რაც მთელ გუნდს აქვს დაგეგმილი.

**„ვერსია“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**299-62-77; 599 32-85-76.**

**იყიდება ბინა სასწრაფოდ!**
**ქალაქის ცენტრში, ოპერის უკან,** თაბუკაშვილის 32-ში სასწრაფოდ და ძალიან იაფად იყიდება 4-ოთახიანი, 100 კვ.მ. მაღალჭერიანი ბინა, დაშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 70 ათასი დოლარი. **დარეკეთ საღამოს — 247-57-79.**

## კადრი



## ანეკდოტები

— რა სპეციალობით მუშაობ?
— ლანდშაფტის დიზაინერი ვარ!
— რა მაგარია! კომპიუტერზე?
— არა... ბულდოზერზე...

* * *

— ასე რატომ გაინტერესებს, რას ვაკეთებ შაბათ-კვირას?
— ვფიქრობ, სად წავიდე, რომ შენ არ შეგხვდე.

* * *



**წიგნის** მაღაზიაში ახალგაზრდა მამაკაცი სიმპათიურ გამყიდველ გოგოს ეკითხება:
— ხომ არა გაქვთ წიგნი „წიგნის მაღაზიის ლამაზი გამყიდველი გოგოს მოხიბვლის 100 ხერხი?“
— წიგნი არა მაქვს, მაგრამ საღამოს შემოიარეთ და მასტერკლასს ჩაგიტარებთ.

* * *

— დედა, ბავშვობაში გქონდა ოცნება?
— რა თქმა უნდა.
— ახლა?
— ახლა ის ჩემ გვერდით მოდის და კითხვებს მისვამს.

* * *

**შუქი** გამორთეს... სანთელი ავანთე, რომელიღაც ძველი ჟურნალი მოვძებნე და სკანვორდების ამოხსნა დავიწყე. ჩამითრია. ნახევარ საათში შუქი ჩართეს. არ მომცეს ამ ძუკნებმა ნორმალურად დასვენების საშუალება.

**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24